1149/13-532
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა
სარწმუნოებაა
იაკობი

1997 წელი | 6(23) | ივნისი • BURJI EROVNEBISA • ფასი 40 თეთრი

## 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე



ბესარიონ
ჟორჟენაძის
საზოგადოების გაზეთი
მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

დირექტორი
მირიან ხაჭვანი

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე
რამაზ ქურდაძე
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჭულაძე
კახა გაბუნია
ლეილა გეგუჩაძე
ქეთევან დათუკიშვილი,
კორნელი დანელია,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
ნინო კვანტალიანი

გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

მთავარი რედაქტორი

# მომგებიანი პოზა

იყო დრო, როცა ოფიციალურ პრესაში, რადიოთი თუ ტელევიზიით გამოთქმული შენიშვნა,კრიტიკა უპასუხოდ არ რჩებოდა. უმართებულო შენიშვნისა თუ არაობიექტური კრიტიკის შემთხვევაში ადრესატი თავს იმართლებდა, თუ, რა თქმა უნდა, პასუხის ღირსად ცნობდა კრიტიკოსს. ცილის მწამებელსაც ამხელდნენ და სჯიდნენ... მართებული შენიშვნების შემთხვევაში მიზეზებს განმარტავდნენ... ასე იყო არცთუ შორეულ წარსულში...

დღეს ხშირ შემთხვევაში ადრესატი არ თვლის საჭიროდ პასუხის გაცემას საჯაროდ გამოთქმულ შენიშვნაზე, კრიტიკაზე, სერიოზულ ბრალდებაზეც კი... ვინც რა უნდა თქვასო...

ჩვენი გაზეთის პროფილიდან გამომდინარე, არაერთი წერილი დავბეჭდეთ ზოგადად განათლების, ეროვნული სკოლისა და, კერძოდ, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პრობლემებზე. შენიშვნებიც მრავლად იყო და კრიტიკაც, სურვილიც და თხოვნაც, არც საფუძვლიან ბრალდებას მოვერიდებივართ; შეკითხვებიც დავსვით, მაგრამ პასუხი არ მიგვიღია... ვფიქრობთ, ან არ ჩაგვითვალეს პასუხის ღირსად (რაც საკმაოდ უსიამოვნო შეგრძნებას იწვევს), ან არაფერი ჰქონდათ საპასუხო (რაც უფრო მძიმედ შესაგუებელი აზრია ჩვენთვის).

ჩვენი სატკივარი კვლავ ეროვნული სკოლაა, რომელიც ეროვნულობის ბურჯად მიაჩნდა იაკობ გოგებაშვილს (მამულთან და დედაენასთან ერთად). ცნობილია, რომ მზადდება სასკოლო რეფორმა, მაგრამ ეს მომავლის სკოლას ეხება; რა დღეშია დღევანდელი სკოლა? ვთქვით ერთხელ, **XX საუკუნის სკოლის ნანგრევებზე XXI საუკუნის სკოლა არ აიგება;** ღრმად გვწამს ეს და ეს რწმენა მოსვენებას გვიკარგავს... ძალიან გვინდა, მაგრამ ეს რწმენაც ჩვენთვის არავის დაურღვევია...

ამიტომაც კვლავ დავსვამთ შეკითხვებს:

*განათლების სისტემაში ქართულის პარალელურად არაქართული ენების დამკვიდრება სწავლების ენად (საბავშვო ბაღიდან მოყოლებული უნივერსიტეტების ჩათვლით) არის თუ არა სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შეზღუდვა და საით მივყავართ ამ გზას?*

*რა არის მიზეზი იმისა,რომ კითხვაზე- სწავლობდით თუ არა X-XI კლასებში საგანს ქართული ენა – პირველ-მეორე კურსის სტუდენტთა უმრავლესობამ ასე უპასუხა: „არ მახსოვს“, „არ ვიცი“?*

*რატომ მიეცა ასეთი ფართო მასშტაბი ე.წ. „ექსტერნად სკოლის დამთავრებას; რატომ იღებს ამდენი მეათეკლასელი თერთმეტი კლასის დამთავრების ატესტატს?*

*რატომ მომრავლდა ასე სალამოსა (თუ დამის!) დასწრებული და დაუსწრებელი (!) სკოლები? თავის დროზე მსგავსი ფორმა სწავლებისა მასობრივი გაუნათლებლობის ლიკვიდაციისათვის შემოიღეს; დღეს კი ეს სკოლები მასობრივ უწიგნურობას ამკვიდრებენ.*

*ჩვეულებრივ (ე.ი. დღის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თითოოროლა დამამთავრებელი კლასია, ხოლო სალამოსა და დაუსწრებელ სკოლებში, რაზეც თვალი მივაწვდა, 5–7 (10-ზე მეტიც!) პარალელური კლასია; ხოლო თითოეულ ამ კლასში 35–40 მოსწავლეა. რატომ ხდება ასე?*

***პროცენტულად რამდენი იქნება ისეთი შემთხვევა, როცა ატესტატში შეტანილი შეფასება ობიექტურად ასახავს სკოლადამთავრებულის ცოდნას?***

ამგვარი ცოდვამადლიანი კითხვების გამრავლება შეიძლება, თუმცა გვეყოფა... ამ კითხვებზე პასუხი ჩვენ ვიცით, მაგრამ ხელისუფალთა აზრი გვაინტერესებს. აქ კი, სამწუხაროდ, არ გვაქვს იმედი, რომ ადრესატი გვიპასუხებს. რატომ? **წაყრუება მომგებიანი პოზაა.** ვითომც არაფერი თქმულაო... საქმე კი უკუღმა მიდის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერის არქივიდან

# მეტყველება - უტყუარი პიროვნული მახასიათებელი

ჩვენს გაზეთში (№8, 1996 წ.) გამოქვეყნდა ფრაგმენტი ბესარიონ ჟღენტის ხელნაწერი მონოგრაფიიდან „ენა და კულტურა“ სათაურით – „მეტყველება– უტყუარი პიროვნული მახასიათებელი“. დღეს გთავაზობთ ერთ-ერთ მონაკვეთს მონოგრაფიიდან, რომელიც თემატურად ხსენებული პუბლიკაციის გაგრძელებაა.



ერცელი ექსკურსი ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის სანახებში იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა, თუ როგორ შეუძლია პიროვნული ნიშატით აღბეჭდოს ცოცხალმა სიტყვამ ლიტერატურული პერსონაჟიც კი.

ამ მხრივ საცნაურია აგრეთვე მემუარულ ლიტერატურაში წარმოსახული რეალურად არსებული პიროვნებანიც, რომელთა გახსენება ხშირად მათთვის დამახასიათებელ თავისებურ გამოთქმებთან არის დაკავშირებული.

ვინ არ იცის, მაგალითად, რომ ვასო აბაშიძე ხშირად ჩაურთავდა ხოლმე საუბარში მიმართვის ფორმას – „ქაჯან“, ხოლო ლადო მესხიშვილი– „შვილოსა“:

– ქაჯან, რამდენად უფროსი ვარ შენზე და ჭადარა არ მირევია, შენ კი ბამბასავით გადათეთრებულხარ!

– შვილოსა, შენ რა დაგაბერებს, დარდი შენ არ იცი და მწუხარება, ღმერთის უდარდელ ჩიტად გაუჩენიხარ, მუდამ იცინი და სხვასაც აცინებ. მე კი სხვა ვარ, სხვა ვარსკვლავზე დაბადებული (მ. გარიყული, „განვლილი გზა“).

ლადო მესხიშვილს მეორე სიტყვაც ჰქონდა ამოჩემებული – „დეტოჩკა!“ რაც მისი ნარუსვიალი წარსულის გამოძახილი იყო.

ალბათ არ არსებობს ისეთი მოგონება გალაკტიონ ტაბიძეზე, რომელშიც ერთხელ მაინც არ იხსენებდნენ მისთვის ჩვეულ მიმართვას: „ძამიკო!“ მაგრამ გალაკტიონისათვის არც სხვა მყარად შეთვისებული გამოთქმები იყო უცხო. ერთი იმათგანია: „მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება!“ ეს შეგონება საკმაოდ ხშირად გვხვდება მის ჩანაწერებში, თავს იჩენს ლექსებშიც.

გალაკტიონი იგონებს: 1914 წელს ქუთაისის თეატრში ერთი რაზმელი აუხირდა გალაკტიონს: „ხანჯალზე ხელი დაედო და რიხიანად მკითხა:

– რატომ მითხარით– ისე იცინით, თითქოს მართლა პატიოსანი კაცი იყოთო...

– მე კაი კაცო! ზრდილობიან მოქცევას რა სჯობია?)

„დრუჟინიკმა“ ნახევარზე ხანჯალი ამოსწია, მაგრამ მე ხელი დავუკავე და სრულიად დამშვიდებულად ვუთხარი:

– ძმაო, მე რომ მეჩხუბები, ჩემთან რა საქმე გაქვს? თუ მართლა დიდი ვაჟკაცი ხარ, აი, თათრები მოელენ და იმათ ეჩხუბე.

ამ სიტყვებმა მასზე ვიცი „დუშევით“ იმოქმედა. მაგრამ, როდესაც სხვა „დრუჟინიკებმა“ დაინახეს, რომ მათი ამხანაგი „სკანდალს“ აპირებს, საჩქაროდ შემოეხვივნენ.

– რა ამბავია, რა ამბავია, ? - მუქარის კილოთი მეკითხებოდნენ.

– არაფერი, არაფერი! მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება! – ღიმილით ვთქვი და გავშორდი. ყველა სახტად დარჩა“...

წრე შეიკრა. გახსოვს ალბათ: ამ მონაკვეთის დასაწყისში ვილაც ანონიმის თავხედობით აღშფოთებული გალაკტიონი მეუღლეს სწერდა: „ამ დაუფიქრებლად წამოსროლილი სიტყვებით იგი თავისდაუნებურად იძლევა ერთნაირ თვითდახასიათებას... ჩემს წინ დგას მართლაც უზრდელი, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, ყოყლოჩინა, ძლივსძლივას რამდენიმე კულტურული სიტყვის მცოდნე, პატარა, ძლიერ განსაზღვრული ჭკუის მქონე კაცუნა...“

საოცარია მართლაც, რა უბედურება უნდა დაგვატყდომოდა თავს, რომ უნაზესი სულის მქონე პოეტის ასეთი აღშფოთება გამოგვეწვია, ასეთი ტკივილი მიგვეყენებინა ადამიანისათვის, რომელმაც აბმის დადალული რტოს და თისფერი თოვლის სილამაზე პირველი სიყვარულის ეროვნტველივით განგვაცდევინა, რომელმაც ამოიცნო სულიერი აღზევების ის წამი, „როს სიმაღლეებს სწვდებოდა არსი“.

გალაკტიონის ამ ორ ჩანაწერს თითქმის ოცი წელიწადი აშორებს ერთმანეთს. ამ ოცმა წელმა, რაც სულიერი ამაღლების გზა იყო ადამიანის უფაქიზეს განცდათა სიტყვიერ ხატებად გარდამსახველი პოეტისათვის, მის ხორციელ ცხოვრებაში არსებითად ვერაფერი შეცვალა. პირიქით, ყოველდღიურობა უფრო დამძიმდა და გამკაცრდა: ის, რასაც პოეტური სული უზრდელობად და პიროვნების შეურაცხყოფად აღიქვამდა, ცხოვრების ნორმად იქცა, გზა ნიჭის ნაცვლად თავხედობას მიეცა, სათნოება დრომოჭმულ სანტიმენტალიზმად გამოცხადდა, ადამიანის სიყვარული – დროებით აღზევებული კერპების თაყვანისცემამ, ხოლო საზოგადოების წინაშე მოვალეობის გრძნობა კლასობრივი კლანებისადმი მონურმა ერთგულებამ შეცვალა, ჭეშმარიტ შემოქმედებით შრომას ლამის მაჭნებლობა შეარქვეს, ერთი დღის საზრუნავით შემოსაზღვრულ ფაციფუცს – ახალი საზოგადოების აღმშენებლობა. სულით არისტოკრატი ნაკაცარი აღმოჩნდა, ნაძირალა– პირიქით– უკეთესი მერმისის მშენებელი ახალი ადამიანი. საზოგადოებას სულიერი ხერხემალი ბაცილა დაუეუელა. და, ილიასი არ იყოს, გონებით რომ აღარა ვცხოვრობდით, ენას აზრის როგორ გამოვათქმევინებდით! სულისათვის რომ არ გვეცალა, სულიერ ტკივილს თანალმობას როგორ გამოვუცხადებდით! გონება რომ დაგვიქინეს, აზრიც დაგვეპატარავდა, პატარა აზრმა კი სიტყვასაც წაართვა სული და მის ნაცვლად დაცარიელებულ-გაპარტახებულ ტაძარს სატანის ენი დაუპატრონა. ეს იმიტომ, რომ სიტყვაც ადამიანივითაა: გუნება იმის მიხედვით ეცვლება, გარეთ რა ამინდი დგას. ისიც მოგეხსენებათ, რომ რუსთველური „ამხანაგი“, სხვისი ბედის თანაზიარობას რომ განგვაცდევინებდა, მოისხანე სიტყვად გვიქციეს.

ჯერ რუსთაველს მოვუსმინოთ.

ტარიელი მიმართავს ფრიდონს:

„აწ გაამხობ, რადგან თავი გინდა ჩემად ამხანაგად“.

ჩემი წუხილის თანამოზიარედ მოგაჩნიათ თავი– ამას ნიშნავს აქ „ამხანაგი“.

შემდეგ:

„ვერე უთხრა: ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე“.

აქაც ამხანაგი ისაა, შენთან ბედის თანაზიარობა რომ ერგუნა განგებამ.

ანდა– გავიხსენოთ ტარიელისა და ავთანდილის მოყვრად შეფიცვის ამსახველი სტროფი:

„...მას ღამესა ერთგან იყვნეს შეფიცრნი ამხანაგნი“.

ამ სიტყვისგან ზმნაც იწარმოება: „ამხანაგობს“, ისიც თანასწორობის, თანადგომის ამსახველია. გავიხსენოთ, რომ ამ სიტყვით რუსთაველმა როსტევანი და ავთანდილი გაათანასწორა ნადირობისას შეჯიბრში:

„ერთმანეთისა, თუ: მე გჯობო, სიცილით ეუბნებოდეს,

ამხანაგობდეს, ლაღობდეს, იქით და აქათ დგებოდეს“.

და აი, ეს სიტყვა, ქართველ (და არა მხოლოდ ქართველ) ხალხს ღვთის რისხვად დაატყდა თავს უზნეობის ზეობის ეპოქაში, როცა მზარეული ქვეყნის პოლიტიკური ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობდა, ხოლო პოლიტიკოსს ქვრის ბურღულის ტალონებით განაწილება ევალებოდა. კონსტანტინე გამსახურდია ერთგან აღშფოთებით შენიშნავდა: რომანების წერას ის კაცი მასწავლის, მთელი სიცოცხლე კოოპერატივის კვერცხებზე რომ ფიქრობდაო. ეს იმის შედეგია, ნიჭი და შემოქმედება თავხედობას რომ ანაცვალეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადიდებს სული ჩემი უფალსა



*19 მაისი (ახალი სტილით 1 ივნისი) – ხსენება წმინდისა მოციქულთასწორისა ნინოსი.*

*23 მაისი (ახალი სტილით 5 ივნისი) – ამაღლება იესო ქრისტესი*

*29 მაისი (ახალი სტილით 11 ივნისი) – ხსენება ღირსისა დოდო გარეჯელისა*

*30 მაისი (ახალი სტილით 12 ივნისი) – ხსენება ღირსისა დავით გარეჯელისა*

*1 ივნისი (ახალი სტილით 14 ივნისი) – სულის შაბათი – სულთაობა. მიცვალებულთა ხსენება*

*2 ივნისი (ახალი სტილით 15 ივნისი) – სულიწმინდის გარდამოსვლა – სულთმოფენობა*

*9 ივნისი (ახალი სტილით 22 ივნისი) – ხსენება ყოველთა წმიდათა*

ძმანო ჩემნო საყვარელნო! ჩვენ ვართ მართლმადიდებელნი ქრისტიანენი; ხოლო ქალაქსა ამას შინა არიან მრავალნი სხვა სჯულისანი. ჩვენ მოგვცა ღმერთმან ტალანტი ესე დაუფასებელი მართლმადიდებლობისა და ამისთვის თანა-გვაძს განვამართლოთ ნიჭი ესე ღვთისა. უკეთუ ყოფაქცევა ჩვენი იქმნება კეთილი, მაშინ სჯულიცა ჩვენი განმართლდება და სახელი ქრისტესი მიიღებს ქებასა და კელესია ჩვენი აღემატება; ხოლო უკეთუ ცხოვრება ჩვენი არა იქმნება მსგავსად სჯულისა ჩვენისა,მაშინ სახელი ჩვენი და წმიდა ეკლესია მიიღებს შეურაცხებასა სჯულის აღმსარებელთა შორის. ვითარი სირცხვილი მიეცემა დედს და კეთილშობილს კაცსა, რომლისა ძე არს ულირსი, განრყვნილი,უგუნური? ესრეთივე სირცხვილი იქმნება ჩვენისა ეკლესიისათვის და სარწმუნოებისათვის, უკეთუ ვსცხოვრებთ ულირსად. ქრისტემან ღმერთმან გვიწოდა ჩვენ ძედ ღვთისად,მოგვცა სახელი თვისი და საშინელ არს, უკეთუ ჩვენგან იგმობ სახელი მისი. ამისათვის, ძმანო, ვეცადოთ და განვამართლოთ სჯული ჩვენი, და მადლი უფლისა იყოს შემწე ჩვენი.

**გაბრიელ ეპისკოპოსი**

# ღირსი მამა დავით გარეჯელი

ხსენება ღირსი მამისა **დავით გარეჯელისა** მოძრავი დღესასწაულია. ვზეიმობთ მას ამაღლების შემდგომ ხუთშაბათს.

დავით გარეჯელი **იოანე ზედაზნელის** მოწაფე იყო და ქრისტიანობის გასამტკიცებლად მასთან ერთად VI საუკუნეში ქართლში ასურეთიდან მოვიდა. იოანე მცხეთის ზემოთ ზედაზნის მთაზე დამკვიდრდა და ამისდა მიხედვით ეწოდა ზედაზნელი. ცამეტმა ასურელმა მამამ ჩვენი ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში უდიდესი როლი შეასრულა. **იოანე ზედაზნელმა** თავისი 12 მოწაფე სახარების საქადაგებლად საქართველოს კუთხეში დააგზავნა და მონასტრული ცხოვრება აღორძინა. **მამა დავითი** გარეჯის უდაბნოში დამკვიდრდა, რადგან ხალხისაგან მოშორებულს განმარტოებით მოღვაწეობა სურდა. ამასვე ნიშნავს სიტყვა **"გარესჯა"**. გობრონ საბინინი გარესჯას საკუთარ სახელად არ თვლის, იგი "ნიშნავს გარეთ ყოფნასა,უდაბნოთ ცხოვრებასა, სოფლითგან მოშორებულსა" (მიხეილ-გობრონ საბინინი "საქართველოს სამოთხე", გვ 34).



თავდაპირველად მამა დავითი თბილისში **მთაწმინდაზე** მცირე გამოქვაბულში თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად დამკვიდრდა. ყოველ კვირას იგი ქალაქში ჩამოდიოდა და ცეცხლთაყვანისმცემლებს სახარებას უქადაგებდა. მან ქრისტეს რჯულზე თავისი ქადაგებითა და წმინდა ცხოვრებით ბევრი ცეცხლთაყვანისმცემელი მოაქცია. მამა დავითი ერს უქადაგებდა იმ ადგილზე, სადაც ახლა **ქაშუეთის ეკლესია** დგას. შემდეგში მან განმარტოებული ცხოვრება ისურვა და გარეჯის უდაბნოში დამკვიდრდა. მამა დავითმა და მისმა მოწაფემ გამოქვაბულში დაიწყეს ცხოვრება და მწვანილეულობით იკვებებოდნენ. მაგრამ ზაფხულში მწველი სიცხისაგან "განხმეს მდელონიცა ესე". საკვები აღარ იპოვებოდა. ღმერთმა მამებს ნუკრებთან ერთად სამი ირემი გამოუგზავნა, რომლებიც ცხერებივით მშვიდად იდგნენ და ლუკიანეს მოწველის საშუალებას აძლევდნენ. ირმები ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა ყოველ დღე მოდიოდნენ და მეუდაბნოე ბერებს კვებავდნენ.

ბერების სამყოფი გამოქვაბულის ქვემოთ კიდევ იყო სხვა გამოქვაბული, სადაც დიდი ვეშაპი ბუდობდა. "საზარელმა და განსაკვირველმა მხეცმა" ერთ დღეს ირმებს ნუკრი მოსტაცა. შეშინებული ირმები ბერებთან მივიდნენ. მამა დავითი თავისი კვერთხით მიადგა ვეშაპს და ამ ადგილების დატოვება უბრძანა, რადგან "ამიერითგან უდაბნო ესე ქალაქ ღუთისა მოღუაწეთა იქმნების". ვეშაპი დაემორჩილა დავითს, რომელსაც იქაურობიდან მისი მშვიდობიანად გაყვანა უნდოდა, მაგრამ ღმერთმა არ ისურვა საზარელი მხეცი მტკვარში შესულიყო და ხალხისათვის ზიანი მიეყენებინა. "მყისსეულად ცით მოაიმოტყვებული მეხი დაეცა ვეშაპსა მას და აღანთო იგიაჲთარცა თივა და მეყსა შინა თუალთასა სრულებით დაიწვა იგი". მიხეილ- გობრონ საბინინი აღნიშნავს, რომ **ყარაიის მინდორზე** საკუთარი თვალით იხილა ნაცრისფრად გადამწვარი ადგილი, სადაც ბალახეული არ ამოდის და კაცს ეგონება, თითქოს ამ ადგილზე დიდი სახლი დაიწვაო.

**მამა დავითი** თავის მოწაფეებთან ერთად გამოქვაბულში ცხოვრობდა, ირმები კვებავდნენ და მათი სამყოფელი არავინ იცოდა. მონადირეებმა იპოვეს ისინი და უცხო სახილველით გაკვირვებულებმა ბერული ცხოვრება მოიწადინეს. მამა დავითმა ისინი სახლებში დააბრუნა. მათ კი მისი ამბავი ხალხში გაავრცელეს და სახელი გაუთქვეს. მის გასაცნობად ყოველი მხრიდან დაიწყო ხალხმა დენა. უმრავლესობამ მასთან დარჩენა მოიწადინა. ღირსმა მამამ ისინი სახლებში დააბრუნა, რათა კლდეების საოხრელი რკინები მოეტანათ და წყლის შესაგროვებლად კლდეში ქვევრები და სენაკებისათვის გამოქვაბულები გამოეკვეთათ. მალე გარეჯი ხალხმრავალ უდაბნოდ გადაიქცა. მამა დავითის მადლი და საკვირველებანი ბევრს იზიდავდა. მას თვითონ განმარტოებით ლოცვა უყვარდა. ერთი ასეთი ლოცვის დროს ქორისგან დამფრთხალმა კაკაბმა მის ფეხებთან შეაფარა თავი. წმინდა ბერმა მონადირისაგან დაიცვა მასთან შეფარებული ფრინველი. ეს ბარბაროსი მონადირე, რომელმაც მამა დავითის მოკვლაც განიზრახა, ბევრი სასწაულის მხილველი გახდა. მამა დავითის ლოცვით მისი აუადმყოფი ვაჟიც განიკურნა. გახარებულმა ბუბაქრმა (ასე ერქვა მონადირეს), საჩუქრით უამრავი სურსათ-სანოვაგე მოუტანა ბერებს და ოჯახიანად მოინათლა. შემდეგში კი მან, მადლიერებით აღვსილმა გარეჯში მეუები მოიყვანა და კლდეში ეკლესია გამოაკვეთინა.

მამა დავითი წმინდა ადგილების მოსანახულებლად რამდენიმე ბერთან ერთად **იერუსალიმში** გაემგზავრა. მაგრამ მან თავი ღირსად არ ჩათვალა წმინდა ქალაქში შესულიყო და ფეხით გაევლო იქ, სადაც მაცხოვარი დაბრძანდებოდა. ამიტომ მხოლოდ ქალაქის შეხედვით დაკმაყ-

წმ. დავით გარეჯელისა და წმ. ნინოს ხეზე ნაკვეთი ხატების ავტორი
**გიორგი ძარძიმაძე**

ოუვალდა. მამა დავითმა ამ ადგილებიდან სამი ქვა აიღო და უკან გამობრუნდა. ასეთი თავმდაბლობისათვის მას ღმერთმა დიდი მადლი უბოძა. მის შესახებ სიზმარი ნახა იერუსალიმის პატრიარქმა დავითმა იერუსალიმის მთელი მადლი წაიღოო. ანგელოზის ბრძანებით წმინდანს დაეწიენ და ორი ქვა დააბრუნებინეს, ერთი კი თან წაიღო. პატრიარქმა მისი გაცნობაც მოინდომა, მაგრამ მამა დავითი აღარ დაბრუნდა, სამშობლოსაკენ გამოემგზავრა. მისი სახელი კი განითქვა იერუსალიმსა და მის გარშემო დაბებში.



მამა დავითი გარეჯის უდაბნოში დაბრუნდა და ერთი ქვაც ჩამოიტანა. ამჟამად ეს ქვა თბილისში **სიონის** საკათედრო ტაძარში ინახება. ცოტა ხანში მისი თანმხლები ბერებიც დაბრუნდნენ და უდაბნოს ბერებს მამა დავითის ამბავი ჩამოუტანეს. ამის შემდეგ კიდევ მოემატა ხალხი უდაბნოს. ბევრი ცალკე განმარტოებული ცხოვრობდა და ლოცულობდა, ბევრი კი ძმათა კრებულთან ერთად განადიდებდა უფალს. წმინდა ბერი დიდ სასწაულებს ახდენდა. მისი ლოცვით ბევრი ავადმყოფი იკურნებოდა. მამა დავითს ღვთისაგან წინასწარ ეწყნო ამ ქვეყნიდან გასვლის დღე; შეკრიბა თავისი მოწაფეები უკანასკნელად დამოძღვრა ისინი, ეზიარა ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს და მადლობის თქმით მიაბარა სული უფალს. მოწაფეები ემთხვივნენ მის წმინდა სხეულს. სიკვდილის შემდეგაც მოახდინა სასწაული წმინდა მამამ, დაბადებიდან ბრმას აუხილა თვალები.

დღესაც, როგორც სხვა წმინდა ნაწილებს, დავით გარეჯელის საფლავს განკურნების ძალა აქვს. მის საფლავსა და იერუსალიმიდან ჩამოტანილ ქვას მორწმუნეები მოწიწებით ემთხვევიან.

# ღირსი მამა დოდო გარეჯელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენება ღირსი მამისა დოდო გარეჯელისა მოძრავი დღესასწაულია. ვზეიმობთ მას ამაღლების შემდეგომ ოთხშაბათს.

ღირსი მამა **დოდო გარეჯელის** ვრცელი ცხოვრება დაკარგულია. მისი მოღვაწეობის შესახებ მცირე ცნობები გვხვდება დავით გარეჯელის ცხოვრებაში. გობრონ საბინინის ცნობით ღირსი დოდო აღმოსავლეთიდან მოვიდა საქართველოში და არ იყო ქართველი. წმინდა დოდო ერთი იმათთაგანი იყო, რომელიც მამა დავითის ღვაწლმა და დიდმა სახელმა მიიყვანა გარეჯის უდაბნოში. დავით გარეჯელმა იხილა „სიმტკიცე და სიმახვილე გონებისა და მოუწოდა მას ასულიყო მათი მონასტრის პირდაპირ მთის წვერზე (რქასა კლდისასა). წავიდა რამდენიმე ბერი და იქ მონასტერი გააშენებინა. წმინდა დოდო დაემორჩილა მამა დავითს, ავიდა იმ მთაზე და ცოტა ხანში კლდეში გამოკვეთა გამოქვაბულები და წყლის ლაკნები (ქვევრები, რომლებიც წვიმის დროს ივსება წყლით). ამ ადგილებს დღესაც **დოდოს რქას** უწოდებენ. მან მონასტერი აგო წმინდა ღვთისმშობლის სახელზე, რომელიც იყო დიდი, მშვენივრად შემკული და მდიდარი. დღემდე მოღწეული ეკლესია, სატრაპეზო, სენაკები, მდიდრული ნივთები და წიგნები მოწმობენ დოდოს მონასტრის ხალხმრავლობაზე. დავით გარეჯის მონასტრის ზარიც დოდოს მონასტრის საკუთრება ყოფილა. ღირსი მამა დოდო გარეჯელი ხუცეს-მონაზონი იყო. 52 წელი მართავდა თავის მონასტერს და აღესრულა 91 წლისა 623 წელს.

მიხეილ- გობრონ საბინინის ცნობით დოდოს მონასტერი 1615 წელს მრავალმთის სხვა მონასტრებთან ერთად სრულიად დაამხო და გაანადგურა შაჰ-აბასმა. განახლების შემდეგ ამ მონასტრებს ბოლო მოუღო **ვახტანგ მეფემ**, რომელმაც ხატები, ჯვრები და მდიდრულად შემკული სხვა ნივთები ემიგრაციაში თან წაიღო. მაგალითად, მან **ბერთუბნის მონასტერი** მთლიანად რუსეთში გადაიტანა, ალისაელის კარიც კი თან წაიღო. (გ. საბინინი „საქართველოს სამოთხე", გვ. 636). ღრმითა ვითარებაში დოდოს მონასტერი ჩამოინგრა, მისი ეკლესიები, სატრაპეზო და სენაკები ქვიშითა და ლოდებით აივსო. გობრონ საბინინი გვაწვდის ცნობას, თუ როგორ გადაასვენეს ღირსი დოდოს წმინდა ნაწილები დავით გარეჯში, რომ გაპარტახებულ მონასტერში წმინდანის საფლავი არ დაკარგულიყო. მაგრამ საფლავი მაინც დაიკარგა.

# სწორად აღვზარდოთ ჩვენი შვილები

დღეს ჩვენი გოგონების დიდი ნაწილი არასწორად იმოსება. უმეტესობა ძალიან მოკლე კაბებს იცვამს და ფაქტიურად სხეულს იშიშვლებს. ალბათ, მათ არ იციან სხეულის გაშიშვლება მეძავების ჩვეულება რომ იყო.

ვინც მოკლე კაბას იცვამს ის არღვევს მე-7 მცნებას: „არა იმრუშო". სახარებაში წერია: „ხოლო მე გეტყვი თქუენ, რამეთუ ყოველი, რომელი ჰხედვიდეს დედაკაცსა გულის თქმად მისა, მუნვე იმრუშა მან მის თანა გულსა შინა თჳსსა" (მათე 5,28). ე.ი. იესო ქრისტე ჩვენ, ქრისტიანებს მოგვიწოდებს აზრითაც არ დავუშვათ მრუშობა. ვინც მოკლე კაბას იცვამს, ის ნებსით თუ უნებლიეთ უსიტყვოდ მოუწოდებს მრუშობისაკენ. მრავალ ადამიანს აზრით ცოდვაში აგდებს და თვითონაც გამუდმებით მრუშობის ცოდვის გავლენის ქვეშ იმყოფება. პავლე მოციქული წერს: „არცა მეძავთა არცა მემრუშეთა არცა ჩუკენთა სასუფეველი ღმრთისა ვერ დაიმკჳდრონ" (I კორინ. 6,9).

ქალისათვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სათნოება არის უბიწოება. ქალი თუ წმინდად და უბიწოდ ცხოვრობს გინდა ქორწინებაში, გინდა უქორწინებლად ყველას თვალში დიდ პატივისცემას იმსახურებს. კდემამოსილება და სწორი შემოსვა ქალის სიწმინდის მიმანიშნებელია. ის გოგონები, რომლებიც არასწორად იცვამენ, შეიძლება ხშირად შეურაცხყოფილნი აღმოჩნდნენ და დიდ განსაცდელში ჩავარდნენ.

მამათა სწავლებით, ყველა ცოდვას პირდაპირ უნდა ებრძოლო – მრისხანებას, ვერცხლისმოყვარეობას, ნაყროვანებას, სიამაყეს. მაგრამ მრუშობის ცოდვას უნდა გაექცე თავი მოარიდო. მას ვერ მოერევა ვერცერთი ადამიანი, ვერც ქალი და ვერც კაცი. არ იქნება საქმით, იქნება აზრით! არ შეიძლება ადამიანმა შიშველ სხეულს უცქეროს და თავში ცოდვილი აზრი არ აღეძრას. ყველა ადამიანს ღვთისაგან თავისუფალი ნება აქვს მინიჭებული. ყველას შეუძლია როგორც უნდა ისე მოიქცეს, მაგრამ ვისაც ქრისტიანულად ცხოვრება უნდა, მან ღვთის სათნოდ უნდა იცხოვროს. ამის ერთ-ერთი პირობა კი სწორი ჩაცმაა.

დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი გოგონები ალბათ თავისი უმეცრებით, ასე იმოსებიან. რა ვქნათ? უნდა დავარიგოთ ჩვენი შვილები და ვასწავლოთ, რომ ეს არის დიდი ცოდვა, ასე ჩაცმა არ შეიძლება! მშობლებთან ერთად ამ საკითხში მონაწილეობა უნდა მიიღონ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა. მათ არ უნდა მისცენ უფლება, რომ ცოდნის ტაძარი უხამსი ჩაცმულობით შეურაცხყონ.



დიაკონი ზურაბი (ანთაძე)
დიაკონი ალექსანდრე (ბოლქვაძე)
დიაკონი ბესარიონი (მინაძე)
დიაკონი დიმიტრი (ბორბიძე)
დიაკონი დავითი (ისაკაძე)

რუბრიკას უძღვება ნინო ქვანტალიანი

## პირველი პუბლიკაცია

# გრიგოლ რობაქიძის სიტყვა

### ევროპის სოციალისტურ დელეგაციას მშრომელთა სახელით



მაღალნო სტუმარნო!

ჩვენი შეხვედრა არ არის შემთხვევითი მოვლენილი.

ორი ათასი წელი ქართველნი, ბუნებით დაუდეგარნი გელოდებოდათ თქვენ, რჩეულ შვილებს დასავლეთისას.

ჩვენ ვცხოვრობდით მცირე აზიის გაზურგებულს შუაგულში და მზით მოთენთილნი ვგზნობდით ჩვენ მთვლემარე ღმერთებს გადარუჯულ ქვებში.

ჩვენში იყო ანთებული ხილვა აღმოსავლური.

მაგრამ ჩვენ ვერ გავუძელით აღმოსავლეთის დიდი შუადღის ავხორცობას და გამოვეშურეთ ჩრდილოეთისაკენ. ჩვენ გამოვიარეთ ცხელი ველები ქალდეასი და კაპადოკიის მაწვეთებელ კლდეებს შევეფარეთ თავი.

იყო იმთავითვე ჩვენს რასიულ ტემპერამენტში რაღაც უცნაური, რომელიც ვერ ჰგუებდა აღმოსავლურს მიდუნებას. ფიქრმორეულ თვლემასთან ერთად ჩვენს ხასიათში იწვოდა თესლი დასავლური ნების ამახვილებისა.

ჩვენ ვიყავით პირველნი მომგონნი ფოლადისა და ჩვენი ხასიათის რკინეული ელემენტი ვერ ეთვისა საბოლოოდ მოთენთას თუ გინდ ღმერთების ძილში გადასვლას.

და: მოშვებულნი აღმოსავალს ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლისაკენ.

ამ ლტოლვილებით არის დაღარული ყოველი ხვეული ჩვენი ისტორიის: ამ ლტოლვილებით არის ყვითლად დაღალული ყოველი მოქნევა ჩვენი შემოქმედების. ახლაც გაისმის ყივილი და როკვა-გარდასული ნადიმის. სრული ხელმწიფება პიროვნების და სოციალურ სიცოცხლეში რჩეულობა. სხეულის სილამაზის კულტი: მარადი ქალურის სიყვარულით აშარავანდებული. თაყვანი უზომო მეგობრების: რაინდის ხმალზე ათამაშებული. ყველა ის მოტივი, რომლებიც შემდეგ იტალიურმა რენესანსმა მაგარ სურნელოვან ყვავილებით გაახმაურა.

მაგრამ ჩვენ მუდამ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიისა, - არა საშიშარი მისტიური საშინელებით, არამედ საზარელი მაღალი ჰაეროსის არქონებით, - და ვერც მიმწიფებაში ავსცილდით ჩვენ მას.

მონგოლურმა ურდოებმა აღმოსავლეთით მოვარდნილმა სასტიკი მახვილით გასწყვიტეს ლხინით გადაზნექილი წელი ნათელი ქორწილის, და ჩვენ შევჩერდით შუა გზაზე.

აღმოსავლეთისაც მოვსცილდით და ვერც დასავალს ვეზიარეთ.

მრავალი საუკუნე ვიტანჯეთ ჩვენ შუა გზაზე ყოფით.

მაგრამ ჩვენ მეომარნი ვართ დაბადებით და ესპანელებსავით გვიყვარს შეუძლებელის გადალახვა. ჩვენ მეოცნებენი ვართ გაუსწორებელნი და გვესმის ღიმილი პარიზის ქიმერებისა ნოტრდამის კათედრალის რომ დასცქიან.

და ჩვენ მუდამ გვაცხოველებს შორეული და უცნაური.

ჩვენ მივენდომეთ ორი ქვეყნის შეუღლება და რასაკვირველია ხალხთა შეერთებას უფრო მივისწრაფვოდით. ეს არის ალბად მიზეზი იმისა, რომ „ინტერნაციონალის" ხმა არსად ისე სიხარულით არ გადავარდნილა, როგორც ჩვენში.

ჩვენ ჯერ მანქანებიც არ აგვიმოძრავებია, მაგრამ სოციალური სამართლიანობისათვის მაინც ვიბრძვით. ეს პარადოქსია ისტორიული. მაგრამ ჩვენი ისტორიაც უცნაურობითაა ხომ დაგრეხილი.

ბუნებით მეომარნი ჩვენ გარდავიქეცით რევოლუციონერებათ. რუსეთის რევოლუცია ჩვენმა შვილებმა გაიტანეს - და როცა სპარსეთის დასხვორდა ამბოხება, სათავეში მას ჩვენი გადავარდნილი გმირები მოექცნენ.

ლიტერატურაც ჩვენი მხოლოდ კეთილშობილობისა და რჩეულობის ხაზებით იყო ამეტყველებული. მისი დევიზი „სულის ინტერნაციონალიზმი" ისახებოდა და ცხადია მისთვის კლასიური საზღვრების გადალახვაც იყო ადვილი.

ჩვენში არის მრავალი ლიტერატურული ჯგუფი ერთიმეორის მეომარი. მაგრამ არ არსებობს არც ერთი მწერალი, რომელიც აღმაცერად უცქერდეს სოციალურს იდეალს.

უმეტესი ჩვენგანნი სოციალიზმს უცქერის ისე, როგორც ოსკარ უაილდი, მედიდური და ბრწყინვალე გენია დიდი ბრიტანეთის, - ან ისე, როგორც ანატოლ ფრანსი, სკეპსისით დახვეწილი გენია ლატინთა რასისა. ხოლო ყველას გვესმის სპილენძის საყვირები ემილ ვერხარნის, სადაც იბრძვიან მძიმე რიტმები, დიდრონ მასსათა მიერ აგორებულნი.

დღეს შეხვედრით ჩვენ ერთმანეთის და ამიერიდგან ამ შეხვედრით დაიწყება ახალი უღელტეხილი ქართული ისტორიის.

ჩვენ ვიცით სადავეს მოშვება. მაგრამ გვეძნელება თავშეკავება: - თქვენგან უნდა ვისწავლოთ იგი.

ჩვენ ვიცით მზით დაღალული ხილვა. მაგრამ არ გვესმის მაგარი სილოგიზმი: - თქვენგან უნდა შევითვისოთ იგი.

ჩვენ ვიცით ლხენა და უდარდელობა, მაგრამ შორს არის ჩვენგან რკინისა და ჯავშნის ორგია - თქვენგან უნდა მივიღოთ იგი.

თქვენ მოგვეცემით ჩვენ უძლეველობით გაჭედილსა და გამართულს ნებას, - ჩვენ მას გავაცხელებთ ცეცხლეული ტემპერამენტით.

თქვენ შემოიტანთ ჩვენში ცივსა და მძიმე სისტემებს, - ჩვენ მათ შევსვამთ მზეზე აპრიალებული აზარფეშებით.

თაყვანი თქვენ, მაღალნო და ძვირფასნო სტუმარნო, ქართველ მწერალთაგან. თქვენი მოსვლა ამღერდება ზომაგადასულ შაირებში.

## სარკე თქმულთა

# კოლეგებო, ჩაიხედეთ და იცანით თქვენი თავი!

**„საქართველოს რესპუბლიკა"**

„საქართველოს პრეზიდენტმა გაიზიარა მთავრობის წევრთა ის შეშფოთება, რომელიც ბუშინდელ სხდომაზე აშკარად გამოიკვეთა. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის ინფორმაციის საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 11 ივნისის 379 ბრძანებულების „საქართველოს უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემის სრულყოფის დამატებითი ღონისძიებათა შესახებ" შესრულების მიმდინარეობის თაობაზე განხილვის დროს". (3.IV. 1997)

"ტელესერიალი ჯერ სანახევროდაც არ დასრულებულა" (8.V,1997).

**„ალია"**

„მოწვეულმა ქართველმა ექსპერტმა... მთელი საათი გველაპარაკა" (22-23. IV. 1997)

„ვისსა და ვის შორის ხდება დათმობა და რა საკითხებზე?" (22-23. IV. 1997)

„მესხეთის აზრი, რომ არანაირი პრობლემა არ არის..." (22-23. IV. 1997).

**„ასავალ-დასავალი"**

„მომავალში მაინც ვუმკურნოთ ჩვენი ველესის დამღუპველ სნეულებას" (20-26, V, 1997).

„იქნებ მაჟორსანთა ამბოხი გახლდეთ საყოველთაო ნადგურისცემის იდეალი ნიშანი? (20-26. V).

„ზინა არჩვაძეს... საწყლად ამოუღრიალნია" (იქვე).

**„შანსი"**

„შემოქთავაზებთ ნატურალური თმისაგან დამზადებულ პარიკს" (№068, V, 1997).

„როდესაც ჯეკი არ მუშაობს, მოგზაურობს, თანაც დიდ ფუფუნებაში: პარიზის ყველაზე ძვირფას ოტელებში, ლონდონისა და შვეიცარიის. მას ჰყავს საკუთარი პოვარი, დამხმარე, საკუთარი მდივანი და რამდენიმე მძღოლი" (იქვე)

**„კვირის პალიტრა"**

„შეილი დიდხანს ეხვეწებოდა დედას, - ჩვენი ოროთახიანი ბინა მომცროზე გადავცვალოთ და დარჩენილ (საკმაოდ დიდი თანხა) ფულს როგორც მინდა, ისე მოვიხმარო" (7-13, IV, 1997)

## აბიტურიენტის ფურცელი



### საკუთარ სახელთა ბრუნება

საკუთარ არსებით სახელებში ვგულისხმობთ **გეოგრაფიულ სახელებს, პირთა სახელებსა და გვარებს.**

**გეოგრაფიული სახელები** „აღნიშნავენ ქვეყნებს, მხარე-კუთხეებს, ხეობებს, ტბებს, მდინარეებს, ქალაქებს, სოფლებს,უბნებს, მთებს, ბორცვებს,ტყეებს, საძოვრებს, მინდორველებს, დაბლობებს და სხვა" (ა. შანიძე). **ისინი ისევე იბრუნვიან, როგორც ჩვეულებრივი საზოგადო სახელები:** ფუძის მიხედვით გეოგრაფიული სახელიც შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი (თბილის-ი, შირაქ-ი, მტკვარ-ი, ალაზან-ი...), ან ხმოვანფუძიანი (გურია, უშბა, იაპონია, პერუ, ჩიკაგო...). თანხმოვანფუძიანთაგან ზოგი უკუმშველია (თბილის-ი, შირაქ-ი, ჩინეთ-ი...), ზოგიც - კუმშვადი (**მტკვარ-ი - მტკვრ**-ის, **ალაზან-ი - ალაზნ**-ის...).

ხმოვანფუძიან სახელთა ერთი ნაწილი (ა-სა და ე-ზე დაბოლოებული) კვეცადია (**გურია - გური**-ის, **უშბა-უშბ**-ის, **საირმე- საირმ**-ის...), მეორე - უკვეცელი (**პერუ- პერუ-ს(ა), ჩიკაგო - ჩიკაგო**-ს(ი), **ბაქო - ბაქოს**(ი)...).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გეოგრაფიული სახელები იბრუნვიან საზოგადო სახელთა მსგავსად, მაგრამ, მათგან განსხვავებით, არა აქვთ მრავლობითი რიცხვი.

აი რამდენიმე ნიმუში ყველა ტიპის გეოგრაფიულ სახელთა ბრუნებისა:

სახ. გორ-ი მტკვარ-ი აჭარა- ომალო -

მოთხ. გორ-მა მტკვარ-მა აჭარა-მ ომალო-მ

მიც. გორ-ს(ა) მტკვარ-ს(ა) აჭარა-ს(ა) ომალო-ს(ა)

ნათ. გორ-ის(ა) **მტკვრ**-ის(ა) **აჭარ**-ის(ა) ომალო-ს(ი)

მოქმ. გორ-ით(ა) **მტკვრ**-ით(ა) **აჭარ**-ით(ა) ომალო-თი

ვით. გორ-ად(ა) მტკვრ-ად(ა) აჭარა-დ(ა) ომალო-დ

წოდ. გორ-ო მტკვარ-ო აჭარა-ვ ომალო-ვ

ნაბრუნებ სახელთაგან პირველი (გორ-ი) თანხმოვანფუძიანი უკუმშველი სახელია, მეორე (მტკვარ-ი)- თანხმოვანფუძიანი კუმშვადი, მესამე (აჭარა) - ხმოვანფუძიანი კვეცადი, ხოლო მეოთხე (ომალო) - ხმოვანფუძიანი უკვეცელი.

**პირთა სახელებსაც,** გეოგრაფიულ სახელთა მსგავსად, შეიძლება ფუძე უთავდებოდეს თანხმოვანზე (დავით-ი, ნოდარ-ი, ოთარ-ი, გურამ-ი, ლევან-ი, თამარ-ი, ეთერ-ი, ასმათ-ი...), ან - ხმოვანზე (ერეკლე, გიორგი, შოთა, ვაჟა, ნინო, მზია, სალომე...), მაგრამ ბრუნების დროს ადამიანის (პირთა) სახელები **არც იკუმშებიან და არც იკვეცებიან. არა აქვთ მათ არც მრავლობითი რიცხვი.** გარდა ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ პირთა სახელები წოდებით ბრუნვაში ბრუნვის ნიშნის გარეშეა: წოდებითი ბრუნვა მიმართვის ფორმაა, **მიმართვისას კი პირის სახელი ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი.**

სახელობითი ლევან-ი ასმათ-ი ირაკლი ერეკლე ნინო

მოთხ. ლევან-მა ასმათ-მა ირაკლი-მ ერეკლე-მ ნინო-მ

მიც. ლევან-ს(ა) ასმათ-ს(ა) ირაკლი-ს(ა) ერეკლე-ს(ა) ნინო-ს(ა)

## ქართული ენა

ნათ. ლევან-ის(ა) ასმათ-ის(ა) ირაკლი-ს(ი) ერეკლე-ს(ი) ნინო-ს(ი)

მოქმ. ლევან-ით(ა) ასმათ-ით(ა) ირაკლი-თი ერეკლე-თი ნინო-თი

ვით. ლევან-ად(ა) ასმათ-ად(ა) ირაკლი-დ(ა) ერეკლე-დ(ა) ნინო-დ(ა)

წოდ. ლევან ასმათ ირაკლი ერეკლე ნინო

როგორც ვხედავთ, არც ერთი სახელი არც შეკუმშულა და არც შეკვეცილა. კიდევ ერთხელ საგანგებო ყურადღება მივაქციოთ წოდებით ბრუნვას: **არ** შეიძლება მიმართვისას (დაძახებისას) ვიხმაროთ სახელობითი ბრუნვის ფორმები: ლევანი! ასმათი! ნოდარი! ოთარი! გურამი! ... არამედ- მხოლოდ ასე: ლევან! ასმათ! ნოდარ! ოთარ! გურამ! და ა.შ. რაც შეეხება ხმოვანფუძიან პირის სახელებს, მათი წოდებითი ბრუნვა ემთხვევა სახელობითისას, რამდენადაც, როგორც ვიცით, ხმოვანფუძიან სახელებს არა აქვთ სახელობითი ბრუნვის ნიშანი (გიორგი, ირაკლი, აკაკი, არკადი, დომენტი, დალი, ნანული, ლალი და სხვა სახელებში **ი** ხმოვანი ფუძისეულია და არა სახელობითი ბრუნვის ნიშანი): ამიტომ მიმართვისას ვამბობთ ასე: გიორგი! ირაკლი! ერეკლე! ნინო! კახა! ბათუ! ნათია!... ბოლოკიდური ხმოვნები ამ სახელებში ფუძისეულია.

საკუთარ სახელებს განეკუთვნება **გვარებიც.** ქართული გვარების დიდი ნაწილი მთავრდება **შვილ**-ზე ან **ძე**-ზე. ისინი იბრუნვიან ისე, როგორც საზოგადო სახელები **შვილ**-ი (თანხმოვანფუძიანი უკუმშველი) და **ძე** (ხმოვანფუძიანი კვეცადი). აქვთ მრავლობითი რიცხვიც.

სახ. ბარათაშვილ-ი ბარათაშვილ-ებ-ი ბარათაშვილ-ნ-ი

მოთხ. ბარათაშვილ-მა ბარათაშვილ-ებ-მა ბარათაშვილ-თა

მ ი ც

ბარათაშვილ-ს(ა)

→ 10

## აბიტურიენტის კუთხე

9 ⟵ ბარათაშვილ–ებ–ს(ა) ბარათაშვილ–თა
ნათ. ბარათაშვილ–ის(ა) ბარათაშვილ–ებ–ის(ა) ბარათაშვილ–თა
მოქმ. ბარათაშვილ–ით(ა) ბარათაშვილ–ებ–ით(ა) –
ვით. ბარათაშვილ–ად(ა) ბარათაშვილ–ებ–ად(ა) –
წოდ. ბარათაშვილ–ო ბარათაშვილ–ებ–ო ბართაშვილ–ნ–ო

სახ. ჭავჭავაძე ჭავჭავაძე–ებ–ი ჭავჭავაძე–ნ–ი
მოთხ. ჭავჭავაძე–მ ჭავჭავაძე–ებ–მა ჭავჭავაძე–თა
მიც. ჭავჭავაძე–ს ჭავჭავაძე–ებ–ს ჭავჭავაძე–თა
ნათ. **ჭავჭავაძ**–ის ჭავჭავაძე–ებ–ის ჭავჭავაძე–თა
მოქმ. **ჭავჭავაძ**–ით ჭავჭავაძე–ებ–ით –
ვით. ჭავჭავაძე–დ ჭავჭავაძე–ებ–ად –
წოდ. ჭავჭავაძე–(ვ) ჭავჭავაძე–ებ–ო ჭავჭავაძე–ნ–ო

თანხმოვანფუძიან უკუმშველ სახელთა მსგავსად იბრუნვიან გვარები: გოგაურ–ი, ორბელიან–ი, ხარანაულ–ი, გულედან–ი, ციცაგ–ი, კვანტალიან–ი, ხიტირ–ი, ელენტ–ი, ლლონტ–ი– და მრავალი სხვა.

თანხმოვანფუძიან **კუმშვად** სახელთა მსგავსად ხდება ბრუნება ისეთი გვარებისა, როგორიცაა: წერეთელ–ი, ცაგარელ–ი, მაჩაბელ–ი... გვაქვს: წერეთლ–ის, წერეთლ–ით, წერეთლ–ად, წერეთლ–ებ–ი;

ცაგარლ–ის, ცაგარლ–ით, ცაგარლ–ად, ცაგარლ–ებ–ი;

მაჩაბლ–ის, მაჩაბლ–ით, მაჩაბლ–ად, მაჩაბლ–ებ–ი და სხვა.

ხმოვანფუძიან **კვეცად** საზოგადო სახელთა მსგავსად იბრუნვის მხოლობით რიცხვში ხელობის სახელთაგან წარმოქმნილი გვარები: მებუკე, მენაბდე (მებუკ–ის, მენაბდ–ის...),ებ–იან მრავლობით რიცხვში, როგორც ვიცით, ე ხმოვანი არ იკვეცება: მებუკე–ებ–ი, მენაბდე–ებ–ი...

ია, –ავა, –უა–ზე დაბოლოებული გვარები **უკვეცელია** მხოლობით რიცხვში: თოფურია – თოფურია–ს(ი), მიქლორავა–მიქლორავა–ს(ი), ჩაჩუა– ჩაჩუა–ს(ი)...მაგრამ ებ–იან მრავლობით რიცხვში ისინი **კვეცადები** არიან: თოფურია – **თოფური**–ებ–ი, მიქლორავა – მიქლორავ–ები, ჩაჩუა – ჩაჩუ–ებ–ი...

არაქართული წარმოშობის გვარები ბრუნებისას **არც იკუმშება** და **არც იკვეცება**: სტენდალ–ი სტენდალ–ის... ბაირონ–ი – ბაირონ–ის..., გოეთე – გოეთე–ს(ი)..., კაფკა – კაფკა–ს(ი)... ჰიუგო – ჰიუგო–ს(ი) და ა.შ.

წარმოგიდგენთ გვართა სრულად ბრუნების ნიმუშებს:

სახ. თვაურ–ი მაჩაბელ–ი მენაბდე– გაგუა– მერიმე–
მოთხ. თვაურ–მა მაჩაბელ–მა მენაბდე–მ გაგუა– მერიმე–მ
მიც. თვაურ–ს(ა) მაჩაბელ–ს(ა) მენაბდე–ს(ა) გაგუა–ს(ა) მერიმე–ს(ა)
ნათ. თვაურ–ის(ა) **მაჩაბლ**–ის(ა) **მენაბდ**–ის(ა) გაგუა–ს(ი) მერიმე–ს(ი)
მოქმ. თვაურ–ით(ა) **მაჩაბლ**–ით(ა) **მენაბდ**–ით(ა) გაგუა–თი მერიმე–თი
ვითარ. თვაურ–ად(ა) **მაჩაბლ**–ად(ა) მენაბდე–დ გაგუა–დ მერიმე–დ(ა)
წოდ. თვაურ–ო მაჩაბელ–ო მენაბდე გაგუა მერიმე

როგორც ვხედავთ, თანხმოვანფუძიანი გვარები წოდებით ბრუნვაში წარმოდგენილია წოდებითი ბრუნვის ნიშნით: თვაურ–ო! მაჩაბელ–ო! (არ შეიძლება მიმართვისას სახელობითი ბრუნვის ფორმის გამოყენება: იაშვილი! თვაური! მაჩაბელი!). ხმოვანფუძიანი გვარები კი წოდებითში (თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით) გათანაბრებულია პირის სახელებთან (ადამიანის საკუთარ სახელებთან) და უნდა იხმარებოდეს უდაბოლოებოდ: მენაბდე! გაგუა! მერიმე!.. ძე–ზე დაბოლოებულ გვარებთან შეიძლება შეგვხვდეს ბრუნვის ნიშანი –ვ (ჭავჭავაძე–ვ, აბაშიძე–ვ...). მაგრამ დღევანდელი ნორმის მიხედვით უფრო მართებულად იქნა მიჩნეული წოდებითი ბრუნვის (მიმართვის ფორმის) ფორმაში ფუძის სახით (უბრუნვისნიშნოდ) წარმოდგენა: ჭავჭავაძე! აბაშიძე! (გვარის „ჭავჭავაძე" ბრუნებისას წოდებითში **ვ** ამიტომ არის ფრჩხილებში ჩასმული).

სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით გავიხსენოთ მართლწერის ზოგი სხვა საკითხიც:

თუ სახელს ფუძე უთავდება **მ** თანხმოვანზე, მოთხრობით ბრუნვაში ორი **მ** არის საჭირო: ატა**მ–მ**ა, ბარა**მ–მ**ა, სკა**მ–მ**ა, ქათა**მ–მ**ა, ური**მ–მ**ა და ა.შ.

თუ სახელის ფუძე **ს** თანხმოვანზე თავდება, მიცემით ბრუნვაში ორი **ს** მოიყრის თავს: თბილი**ს–ს**, ქუთაი**ს–ს**, სასი**ს–ს**, ვეძი**ს–ს**, დელი**ს–ს** და ა.შ.

თუ ხმოვანფუძიანი კვეცადი საზოგადო სახელის ფუძეს აქვს **–ია** დაბოლოება, ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში ორი **ი** იქნება: სია – ს**ი–ი**ს, ს**ი–ი**თ; ჭია– ჭ**ი–ი**ს, ჭ**ი–ი**თ; სვია– სვ**ი–ი**ს, სვ**ი–ი**თ; ღვია – ღვ**ი–ი**ს, ღვ**ი–ი**თ...

თუ სახელის ფუძე ე–ზე მთავრდება, –ებ–იან მრავლობითში (ყველა ბრუნვაში!) ორი **ე** იქნება საჭირო: წრ**ე–ე**ბ–ი, ლამ**ე–ე**ბ–ი, დღ**ე–ე**ბ–ი, თვ**ე–ე**ბ–ი, აბაშიძ**ე–ე**ბ–ი, გალოგრ**ე–ე**ბ–ი, მენაბდ**ე–ე**ბ–ი...

თუ სახელის ფუძე ო–ზე მთავრდება, წოდებით ბრუნვაში გვექნება ორი **ო**: რკ**ო–ო**, ხბ**ო–ო**, რტ**ო–ო** („ატმის **რტოო**, დალალულო **რტოო**"...)...

თუ სახელის ფუძე **ნ**–ზე ბოლოვდება, ნართანიანი მრავლობითის სახელობითსა და წოდებით ბრუნვებში ორი **ნ** მოიყრის თავს: ბანოვა**ნ–ნ**–ი, ბანოვა**ნ–ნ**–ო; აკვა**ნ–ნ**–ი, აკვან–ნ–ო; გუთან–ნ–ი, გუთან–ნ–ო, მონაზონ–ნ–ი, მონაზონ–ნ–ო და ა.შ.

თუ სახელის ფუძე თავდება თ–ზე, ნართანიანი მრავლობითის სამ ბრუნვაში (მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში მათ ერთი და იგივე დაბოლოება აქვთ) ორი **თ** არის საჭირო: საა**თ–თა**, კაკანა**თ–თა**, ამანა**თ–თა**, ბარა**თ–თა**, ბარბი**თ–თა** და ა.შ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლეილა ბებუჩაძე

## ქართული ლიტერატურა

თამარ შარაბიძე

# ვაჟა-ფშაველას ლირიკა

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში ხშირად გვხვდება ბუნების თემისადმი მიძღვნილი ლექსები. საინტერესოა ვაჟა-ფშაველას ბუნებისადმი დამოკიდებულების საკითხიც, რომელიც კრიტიკოსების აზრთა სხვადასხვაობის საბაბია; რადგან ბუნების მხატვრულ აღქმასთან ერთად ვაჟას ლირიკაში მისი ფილოსოფიური გაგებაც გვეძლევა. ლექსში „ღამე მთაში" ვაჟა არაჩვეულებრივი მხატვრული სახეებით წარმოგვიდგენს ღამის სურათს. მკლავზე მძინარე მთვარე, პირის საბანად წყალზე გაგზაენილი მისი სხივები, შავებში ჩაცმული მთები, „უფსკრულს მოარული დევები", სიბნელის ძაძით მოსილი ტყე, მთის ათრთოლებული ყვავილები, რომელთაც ნიავი ქოჩორს უვარცხნის, თვალნათლივ წარმოგვიდგენს ზღაპრულ პეიზაჟს. ვაჟა ბუნების ესთეტიკურ აღქმას გვაძლევს, რომელიც მის სილამაზეში მჟღავნდება. მაგრამ აქვე იხატება მწერლის მსოფლმხედველობაც. ვაჟას აზრით, ბუნებაში არსებობს გარკვეული წესრიგი, ბუნების არსთა ურთიერთშეთანხმებული დამოკიდებულება, რომელიც უფლის მიერ არის შექმნილი და მოწესრიგებული:



„წყალი სჩქებს, ხევი ჩატირის,
განა ერთი და ორია.
აქაც,იქ იმას იქითაც,
საცა ფურცხალა გორია,
ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუწონია.
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია".

უფლის მადლით არსებობს ეს შეთანხმებული ურთიერთდამოკიდებულება, რომლის ჰარმონიულ წესრიგში ადამიანიცაა ჩართული:

„ხევი მთას ჰმონებს, მთა- ხევსა,
წყალნი ტყესტყენი- მდინარეთ,
ყვავილნი - მიწას და მიწა -
თავის აღზრდილთა მცენარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლგადამდინარედ!"

აქ იგულისხმება არა „ყურმოჭრილი" მონობა,არამედ ბუნების სილამაზითა და ჰარმონიით გამოწვეული ხიბლი და სიყვარული. ადამიანი ისეთივე ნაწილია ბუნებისა, როგორც სხვა სულიერი და უსულო საგნები, განუყოფლად შერწყმულია სამყაროსთან, რომელიც ღვთაებრივი ჰარმონიის განსახიერებაა. ადამიანსა და ბუნებას შორის კი სრული ერთიანობაა. ადამიანის დაცემა იწვევს ბუნების დაცემას და პირიქით. ვაჟა გვეუბნება, რომ ადამიანი ჩართულია ბუნების ჰარმონიაში „პირზე ოფლგადამდინარედ". ქრისტიანული გაგებით, რაც ადამიანმა დაკარგა სამოთხე, ღმერთმაც შეუცვალა მას ბუნებასთან დამოკიდებულების მისია და უბოძა მხოლოდ და მხოლოდ პურის ოფლით მოპოვების სახსარი. ადამიანის დაცემამ ბუნების დაცემაც გამოიწვია. მიწამ „ეკლისა და კუროისთავის" აღმოცენება იწყო (დაბ. 3,18).

ვაჟა აღნიშნავს,რომ ბუნებას არა აქვს საკუთარი ნებელობა, მისი მშვიდი ჰარმონია მოულოდნელად შეიძლება დაირღვეს, ამოძრავდნენ ქვესკნელური ძალები- „შავი ზღვის შავი ვეშაპი შესაჭმელად დაგვეძიროს", მთელი მთა-ბარი დაიქცეს, ერთი სიტყვით განხორციელდეს მეორედ მოსვლა-ამქვეყნიურობის სრული მოსპობა, რაც ბუნების უშუალო ნებასთან არ იქნება დაკავშირებული. რადგან თუ აბობოქრების მომენტში ბუნება მბრძანებლად წარმოგვიდგება, მის სტიქიას ვერაფერი შეაჩერებს, სინამდვილეში ის თავისი თავის მონად რჩება, ზოგჯერ ავის მქმნელად, ზოგჯერ კი სიკეთის „მხვეჭავად", თეთრი და შავი საქმის „ერთფერად მტვირთველად", მაგრამ მაინც, როგორც ღმერთის მიერ შექმნილი ყველა არსი, ტურფად და მშვენივრად. ვაჟა არ გმობს ბუნების სიავეს. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ულამაზესია ღმერთის მიერ შექმნილი ყველა არსი, რადგან მისი სათავე თვით მშვენიერება და მადლია. ამიტომ, რაც კი არსებობს, მშვენიერია თავისი დანიშნულებით, წინააღმდეგ შემთხვევაში არ იარსებებდა, რადგან ყველა არსებული მადლიდან მომდინარეობს. ვაჟასთვის მშვენიერია ბუნების ყოველი მოვლენა, ყოველი არსი, თუნდაც ის მრისხანებაზე, მდაბალ ენებაზე და „შავი საქმის"

12

გაგრძელება. დასაწყისი იხ. "მკ" №5 1996 წ.

## აბიტურიენტის ფურცელი

# ვაჟა-ფშაველას ლირიკა

11 ← კეთებაზედ იყოს დამყარებული. მშვენიერია, რადგან პოეტი მასში ბუნებრიობას ხედავს, „ელმაზება". ამიტომაც ბუნების „შავი საქმე" მისთვის ბოროტება აღარ არის, ვაჟასთვის არ არსებობს ბოროტება ბუნებაში. დიონისე არეოპაგელის სიტყვებით, ბოროტება ბუნებისათვის მისთვის ჩვეული თვისებების განხორციელების შეუძლებლობაში მდგომარეობს. ლომი ძალისა და დიდებულების გარეშე აღარ არის ლომი, ყველასადმი მოსიყვარულე დარაჯის ძაღლიც კარგავს თავის დანიშნულებას, ვაჟას შეხედულებით, ბუნების კანონებს ქმნის ბუნებაში არსებული მოვლენების ერთობლიობა, განურჩევლად იმისა, ეთანხმება თუ ეწინააღმდეგება ბუნების რომელიმე არსება მას, რადგან ერთისათვის ნიშანდობლივი, მეორისათვის მიუღებელია და პირიქით. ბუნების კანონთა ერთობლიობა, რომელიც ყოველი არსისათვის ბუნებრივი თვისებების განხორციელებაზეა დამყარებული, ქმნის ჰარმონიას. სრულიად გასაგებია ვაჟას სიტყვები, რომ „ბუნებას თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება?" და მაინც „თვალხილულიც არის და ბრმაც ერთსა და იმავე დროს" („სად არის პოეზია"). „თვალხილულობაში" პოეტი გულისხმობს მის მოწესრიგებულობას, იმ ჰარმონიას, რომლის წყალობითაც ბუნების ყოველ არსს თავისი წესი და რიგი გააჩნია, ხოლო მის სიბრმავეში – ნების უქონლობას, რის გამოც ბუნება ცოდვასა და მადლს განურჩევლად სჩადის.

ვაჟას შემოქმედებაში ბუნების იდეალური სახის აღქმა ადამიანში სილამაზის, სიკეთისა და სიყვარულის გრძნობის გაღვივებას იწვევს. არაგვის ნახვისას დამწუხრებული პოეტი იცვლება, ხიბლავს მის „ზვირთთა ლაღნი ჩქერანი", გაალმასებული ტალღები. როცა არაგვს თვალს არიდებს, მაშინ მთებისკენ სურს ცქერა, რადგან სწორედ მათ გაზარდეს ეს „გიჟმაჟი" მდინარე:

„გულიც იქ იწევს, თვალიცა,
იქ რო მაღალი მთებია,
ვინც რომ გიჟმაჟი გაგზარდა,
ვის ძუძუც პირში გდებია.
იმათ კალთაზედაც მოვკვდები,
მათ ლოდი გულსაც მდებია!"

ვაჟას შემოქმედებაში მთა ამოუწურავი ფენომენია. ის ხან ბუნების შემადგენელი ერთი უბრალო ნაწილია, ხან ბუნების შვილთა დედაა და თავის ბარაქიან ძუძუს აწოვებს მათ, ხან არწივთა სამყოფელია, ხანაც შურითა ან სიკეთით შეპყრობილი ერთ-ერთი ძმაა, ხან „ბაყბაყ" დევია და ხან „თავისფალი" მებრძოლი... მთა ხან სამშობლოს სიმბოლოა და პატრიოტული გრძნობების ამშლელია, ხან ფიქრისა და მელანქოლიის საფუძველია, ხან ვაჟკაცობის, სიმხნევის, ერთგულების და თავდადებული სიყვარულის გამოხატულებაა, ხანაც ბიბლიური „ტრფობისა" და გრძნობის მთის სახე-სიმბოლოა. ეს მრავალფეროვნება იმის შედეგია, რომ ვაჟა ქმნის მთის ხატს სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტუაციაში.

ლექსში „არაგვს" მთა ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს პოეტს, რადგან ბუნების შვილთა დედააგიჟმაჟი მდინარე მისი გაზრდილია, ამდენად ის ვაჟკაცობისა და შეუდრეკელი ბრძოლის სიმბოლოა.

მთის ბუნების ჰარმონიულ სურათს ლექსში დისჰარმონია ცვლის:

„ხან რომ ცა მაიღრუბლება,
ჩაბნელდებიან ხევები,
გაჩნდება მეხთა ტკრციალი,
ათრთოლდებიან ხეები,
კლდეებზე დაიკეცება
სვავთა და არწივთ ფრთეები".

ბუნების ეს არეულობა მის უშუალო ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ბუნებას არ შესწევს ძალა, წინ აღუდგეს სტიქიას:

„ხშირად მოხეთქილს წვიმასა
სიპისა აქვის ღარები,
აქა-იქ გაიმტვრევიან
პირგაშაული ღვარები,
იზიდებიან შენკენა
ის გრძნობისაგან მთვრალები,
იმათ ველარა დაიჭერს
თუნდ რკინის დახვდეს კარები!"

ვაჟა თავისი აზროვნებით სამოციანელია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ქვეყნის ბედის საკითხი ორგანულად ერწყმის მის ნებისმიერ ნაწარმოებში დასმულ საკითხს, მითუმეტეს ბუნების თემას. ვაჟა მშობლიური ქვეყნის ზეაღ ბუნებაში ხედავს ამ პოტენციურ ძალას, რომელმაც ამ ბუნების შვილებზე უნდა მოახდინოს გავლენა სამშობლოს გადასარჩენად:

„ახლა ავდარიც გადიყრის
და მზეც გადივლის გორასა,
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ნისლები
ხევებში სდგამენ გორასა.
ველარ ჰბედვენ, ბეჩავნი,
მთებისად მეხის სროლასა,
მაგრამ ფიქრობენ ვაჟანი
სახელიოდაც ბრძოლასა!"

(დასასრული იქნება)



გრანი ქავთარია

# ძველი ბერძნული სკოლა

წერილი მეორე

8 ← ყველა თხზულება, შესწავლილი მთლიანად ზეპირად, გამოკვეთავს და გაუღვივებს ახალგაზრდებს, რომლებიც იქნებ ღირსეულ განათლებას... მეორენი ყველა ამ პოეტთა შორის არჩევენ მთავარს, ადგენენ გამონათქვამების კრებულებს და ამტკიცებენ, რომ სწორედ ეს უნდა დაიმახსოვრონ და დაისწავლონ ზეპირად ყველამ, ვისაც სურს ჩვენთან გახდეს ღირსეული და ბრძენი". პლატონის პედაგოგიკური თეორიით, ახალგაზრდას უნდა ესწავლა პოეტის თხზულებათა საუკეთესო ნიმუშები.

პლატონი, როგორც უმაღლესი რანგის პედაგოგი, ათეულ წლების განმავლობაში წარმართავდა ელინურ სამყაროში სახელგანთქმული სკოლის (აკადემიის) მუშაობას. ამიტომ საინტერესოა, როგორ უყურებდა იგი აღზრდის საკითხებს.

პლატონის აზრით, ბავშვს ჯერ მშობლები ასწავლიან და შთააგონებენ, რა არის კარგი და ცუდი, სამართლიანი და უსამართლო, მშვენიერი და ულამაზო, რისი გაკეთება შეიძლება და რისი არა. კარგია, როცა ყოველივე ამას ბავშვი ნებაყოფლობით ისმენს, თუ არა, როგორც მრუდეს, მოხრილ ხესავით ასწორებენ მუქარით და ცემით. სკოლაში მიბარებულია მასწავლებლებს ავალებენ, რომ უფრო მეტად იზრუნონ მათს კეთილზნეობაზე, ვიდრე წერა-კითხვასა და მუსიკაზე. როდესაც ბავშვები შეითვისებენ ანბანს და შეუძლიათ ნაწერის გაგება, მასწავლებლები აწვდიან პოეტთა თხზულებებს და აიძულებენ მათს სწავლას, რადგან მათში არის მრავალი დამრიგებლური მოთხრობა ძველი სახელოვანი ვაჟკაცების ქებისა და დიდების შემცველი. ბავშვი ეჯიბრება ამ ვაჟკაცებს და ცდილობს მათს მიმსგავსებას. შემდეგ ეგება მუსიკის შესწავლის დრო. მისი დანიშნულება მრავალმხრივია. როდესაც ბავშვები ისწავლიან კიტარაზე დაკვრას, მასწავლებლები აწვდიან პოეზიის ნიმუშებს, რომ შეუთანხმონ სიტყვები კითარის ბგერებს. მასწავლებელი აიძულებს ყმაწვილის სულს, შეეწყოს ჰარმონიასა და რიტმს, გახდეს უფრო მახვილი, თანაზომიერი, ჰარმონიული, რომ იყოს სასარგებლო სიტყვითა და მოქმედებით; ვინაიდან მთელი ადამიანური ცხოვრება ჰარმონიასა და რიტმს საჭიროებს. პლატონი უპირატესობას ანიჭებდა ნებაყოფლობით მეცადინეობას. „თავისუფლად დაბადებული ადამიანი არც ერთი მეცნიერების შესწავლას არ უნდა მიუდგეს მონურად. მართალია, თუ სხეულს ძალით აიძულებენ სიძნელის გადალახვას, იგი ამით არ ზიანდება, მაგრამ სულში ცოდნის ძალით დანერგვა არამტკიცეა". ან კიდევ: „ძვირფასო, ბავშვები მეცადინეობით, არა ძალით, არამედ ნებაყოფლობით, რომ შენ კარგად შეძლო თითოეულის ბუნებრივ მიდრეკილებაზე დაკვირვება".

არისტოტელე თვლიდა, რომ სკოლაში სასარგებლო საგნებიდან უნდა ისწავლებოდეს აუცილებელი. მისი აზრით, ყოველგვარი საქმიანობა იყოფა ორად, ერთი შესაფერისია თავისუფალი ადამიანისათვის, მეორე – არა. ამიტომ აუცილებელია იმ სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმა, რომელიც არ აქცევს მის მონაწილე ადამიანს ხელოსნად. იგი განმარტავს, ხელოსნობად უნდა ჩაითვალოს ისეთი საქმე, ხელოვნება და საგნების სწავლება, რომლებიც თავისუფალ ადამიანთა სხეულს და სულს სათნოების მისაღებად აქცევენ გამოუსადეგარად.

თავისუფალ ადამიანთა საკადრისად არისტოტელე ასახელებს ოთხ საგანს: გრამატიკას, გიმნასტიკას, მუსიკას და ხატვას.

არისტოტელეს სიტყვებით, გრამატიკა და ხატვა ისწავლება, როგორც ყოველდღიური ცხოვრებისათვის სასარგებლო საგნები, რომლებსაც აქვთ დიდი პრაქტიკული გამოყენება; გიმნასტიკაში მეცადინეობა ხელს უწყობს მამაცობის განვითარებას. მუსიკა, მართალია, ლიტერატურის პარალელურად ისწავლება, მაგრამ ბევრ საეჭვო ნიშანს შეიცავს იგი წესის. „მუსიკა აღმზრდელობითი საგნების რიცხვში შეიტანეს არა როგორც აუცილებელი (მასში ასეთი არაფერია) და საერთო სასარგებლო საგანი... მუსიკა ემსახურება ჩვენი თავისუფალი დროის შევსებას". იგივე პრობლემა სხვა კუთხიდან დანახული: „ნათელია, რომ არსებობს აღზრდის სახე, რომელსაც მშობლები აძლევენ ვაჟებს, არა იმისათვის, რომ პრაქტიკულად სასარგებლო ან აუცილებელი იყოს, არამედ იმიტომ, რომ იგი თავისუფლად დაბადებული ადამიანის საკადრისია და თავისთავად მშვენიერია".

მუსიკალური ინსტრუმენტების დახასიათებისას, არისტოტელე თავისუფალ ადამიანს დიდ ღირსებად არ უთვლის დაკვრის ხელოვნების დაუფლებას. მისი აზრით, ადამიანს უნდა შეეძლოს მუსიკის მოსმენა, ხოლო „ფლეიტაზე დაკვრის სწავლას არავითარი კავშირი არ აქვს გონებრივ განვითარებასთან".

არისტოტელეს შეხედულებას ემთხვევა პლუტარქესთან დაცული ფილიპე მაკედონელის სიტყვები. ერთ წვეულებაზე ჭაბუკმა ალექსანდრემ, ყოველგვარი წესების დაცვით, ბრწყინვალედ დაუკრა სიმებიან ინსტრუმენტზე. ფილიპემ შვილს უსაყვედურა: „არ გრცხვენია, ასე კარგი დაკვრა? საკმარისია ისიც, როდესაც მეფე დროს ნახულობს მუსიკოსების მოსასმენად".

ანტიკურ ავტორთა განსხვავებული აზრების მიუხედავად, ლირა და კითარა მუზების სკოლის განუყოფელი ნაწილი იყო. ლიტერატურული წყაროების გარდა, ამას ადასტურებს ლარნაკებზე გამოსახული მუსიკის გაკვეთილები.

მუსიკალური განათლება მარტო საკრავის ფლობას არ ითვალისწინებდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სიმღერის შესწავლას. არსებობს მოსაზრება, რომ ცალკეულ სკოლებში სიმღერა წინა პლანზეც კი გამოდიოდა, რაც გამოწვეული იყო დღესასწაულებზე (მათი რიცხვი კი საბერძნეთში საოცრად დიდი იყო) მომღერალთა გუნდების საჭიროებით. არ არის შემთხვევითი, რომ პითაგორას მიმდევრებმა, პოეზიასა და მუსიკას ადამიანის აღზრდის საქმეში „სულის განწმენდის" როლი დააკისრეს. ისინი მუსიკალურ ხელოვნებას ეთიკური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საშუალებად თვლიდნენ. მომდევნო პერიოდის ბერძენი მოაზროვნენი წერდნენ, რომ ისინი (პითაგორელები) „სამკურნალო ხელოვნებას იყენებდნენ სხეულის, ხოლო მუსიკას სულის განსაწმენდად". პითაგორელები მუსიკას მრავალი დაავადების სამკურნალოდ იყენებდნენ.

მუზების სკოლაში მოსწავლეს, სხვა საგნებთან ერთად, მათემატიკის ელემენტარული კურსის გავლაც მოეთხოვებოდა. ამას ადასტურებს ბერძენ მოაზროვნეთა ნაშრომებში მათემატიკის ფართო აღიარება. მაღალი რანგის სასწავლებელში, ათენის აკადემიაში, ვისაც მათემატიკაში ცოდნის გარკვეული დონე არ ჰქონდა, სწავლას ვერ გააგრძელებდა. აკადემიის სადარბაზოზე არსებული წარწერა ყველას აფრთხილებდა: „ვინც გეომეტრია არ იცის, დე, ნუ შემოვა". ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებას საფუძველი მუზების სკოლაში ეყრებოდა.

ახალგაზრდა 12 წლის რომ შესრულდებოდა, მუზების სკოლაში სწავლის პარალელურად, მეცადინეობას იწყებდა გიმნასტიკურ სკოლაში. ასაკის მომატებასთან ერთად, მუზების სკოლის დატვირთვა მცირდებოდა, თავისუფალი დრო ვარჯიშებისათვის გამოიყენებოდა. 14 წლიდან მთელი დატვირთვა გიმნასტიკაზე გადადიოდა, მაგრამ მუზების სკოლაში მეცადინეობას ახალგაზრდა არ წყვეტდა, ცოდნას იღრმავებდა და ემზადებოდა განათლების მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად.

გიმნასტიკური სკოლის შენობას პალესტრა ეწოდებოდა. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა: სირბილს, ჭიდაობას, ხტომას, ბადროსა და შუბის ტყორცნას და სხვ. გიმნასტიკური სკოლა ყველა თავისუფალ მოქალაქეს უნდა გაევლო.

მუზებისა და გიმნასტიკურ სკოლებს ახალგაზრდა 16 წლის ასაკში ამთავრებდა. ორივე სკოლაში ახალგაზრდა ღებულობდა იმ აუცილებელ ცოდნასა და წვრთნას, რაც საჭიროებული იყო პოლისის მოქალაქისათვის. მართალია, სკოლა კერძო დაწესებულება იყო, მაგრამ მის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლი არსებობდა. მეცადინეობა მიმდინარეობდა მკაცრად განსაზღვრულ ვადებში სოლონის კანონმდებლობით. სასწავლებელი იღებოდა მზის ამოსვლისას, იკეტებოდა მზის ჩასვლისას. ბავშვი მეცადინეობას იწყებდა მუზების სკოლაში, აგრძელებდა პალესტრაში.

მონათმფლობელური საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის შეძენილი განათლება საკმარისად ითვლებოდა, განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახთა შვილებისათვის. მდიდრები კი სწავლას აგრძელებდნენ გიმნაზიებში.

მუზებისა და გიმნასტიკური სკოლები კერძო პირებს ეკუთვნოდათ. მშობლები თავისუფალი არჩევანის წინაშე იდგნენ: შეეძლოთ, შვილი ვისთანაც სურდათ, იმასთან მიეყვანათ.

ომში დაღუპულთა შვილების განათლებას სახელმწიფო კისრულობდა.

სკოლები არსებობდა არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებში. ამის დამადასტურებელი მრავალი ფაქტია ცნობილი.

მუზებისა და გიმნასტიკურ სკოლებში მთავრდებოდა განათლების მიღების პირველი საფეხური.

წმინდა მამები

ბიბლიოთეკა

# მართლმადიდებლური ეკლესიის სამი დიდი ბურჯი

მართლმადიდებლური ეკლესიის სამი წმინდა მამა – ათანასე დიდი, ალექსანდრიის არქიეპისკოპოსი, წმინდა მაქსიმე აღმსარებელი და წმინდა მარკოზ, ეფესოს მიტროპოლიტი– სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ, მაგრამ მუდამ ერთსა და იმავე მოწინააღმდეგეს ებრძოდნენ – ქრისტეს ეკლესიის შეურაცხმყოფელ და დაუნდობელ მტერს – მწვალებლურ ცრუსწავლებებს. თითოეული ეს არაჩვეულებრივი, ღვთიური სიბრძნის მამა გამოირჩეოდა ურყევი სულიერი სიმტკიცით, ჭეშმარიტი რწმენითა და წმინდა მართლმადიდებლობის უდალატო ერთგულებით.

ჭეშმარიტების ეს დიდებული ქომაგნი არაერთხელ დარჩენილან თითქმის სრულიად მარტონი და მაინც იბრძოდნენ საბოლოო გამარჯვებამდე– მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ მომენტებში – საერთოდ მიღებული თვალსაზრისის მიხედვით– ბრძოლის გაგრძელება თითქოს უაზრო, უსარგებლო და შეუძლებელი იყო.

ის ზნეობრივ–სულიერი ატმოსფერო, რომელიც გარს ეხვია ამ ჭეშმარიტებისათვის მებრძოლთ და ის დახვეწილი ცთუნებანი, რომელთა გადალახვა უხდებოდათ მათ, ძალიან ჰგავს ჩვენს აპოკალიფსურ საუკუნეს თავისი განმაახლებლური ტენდენციებითა და ეკუმენური პოლიტიკოსობით, რომელიც ვერიდობს „მოქნილი რეაგირებისა" და „გონივრული კომპრომისის" იეზუიტურ ტაქტიკას, როცა ნებისმიერ გადახრას მართლმადიდებლური ტრადიციიდან და აშკარა სადვთისმეტყველო და ეკლესიურ განდგომასაც კი ადვილად ამართლებენ დროის მოთხოვნებით ან ყოვლისმიმტევებელი "ღვთაებრივი გულმოწყალებით – იკონომიით.

მაგრამ „ჩვენ უნდა ვემსახუროთ არა დროს, არამედ ღმერთს" (წმ. ათანასე დიდი); „რწმენის საქმეში იკონომიის დაშვება შეუძლებელია" (წმ. მარკოზ ეფესელი".

მთელი ცხოვრება ამ ღვთისსათნო წმინდა მამებისა, რომელთაც თავისი ქრისტიანული ვალი აღასრულეს ურთულეს ისტორიულ–საზოგადოებრივ ვითარებაში და უმძიმეს პირობებში, წარმოგვიდგენს უმშვენიერეს ნიმუშს ჭეშმარიტი ქრისტიანული მართლმორწმუნეობისა და ღირსეულ მაგალითს მართლმადიდებლური სარწმუნოების უშიშარი და უკომპრომისო აღმსარებლობისა.

## წმინდა მარკოზ ეფესელი (1391–1444) და ფლორენციის უნია

„კაცობრიობის ისტორიის თანამედროვე პერიოდში, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მორალური კომპრომისების საუკუნე, განსაკუთრებით გვმართებს გაცნობიერება ჩვენი მართლმადიდებლური მოძღვრებისა და დოგმატების მნიშვნელობისა, რომელთაგან რისამე დათმობა ან გაწირვა, ან დაშვება რაიმე კომპრომისისა შეუძლებელია ისე, რომ ამავე დროს, არ განუდგე ჭეშმარიტებას და მარადიულ ცხონებას",– –ასეთი შესავლით იწყებს წმ. მარკოზ ეფესელის ცხოვრების ავტორი, არქიმანდრიტი ამბროსი (პოგოდინი) თავის შესანიშნავ ნაშრომს, რომელიც ამ წმ. მამის ცხოვრებასთან ერთად ვრცლად გადმოგვცემს – ფლორენციის უნიის ისტორიას არა მხოლოდ როგორც წარსულ ამბავს, არამედ პირველ რიგში, როგორც გაკვეთილს დღევანდელობისა და მომავლისათვის. რადგანაც დღეს კიდევ უფრო რეალურია საფრთხე ეკლესიათა გაერთიანებისა და ამ ერთიანობის სასარგებლოდ მართლმადიდებლური ქრისტიანული დოგმატიკის პრინციპების დათმობისა.

. . .

ოდესღაც დიდი და აყვავებული ბიზანტიის იმპერიის არსებობის ბოლო ათეული წლები ტრაგიკული ფურცლებია მართლმადიდებლური ეკლესიისა და საერთოდ მთელი აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს ისტორიაში. ამ დროს მთელი მცირე აზია უკვე თურქების ხელში იყო და მხოლოდღა კონსტანტინეპოლი, მისი შემოგარენით, რამდენიმე კუნძული საბერძნეთსა და მცირე აზიას შორის და პატარა ნაგლეჯი საბერძნეთის სამხრეთით იყო დარჩენილი ბიზანტიის იმპერიიდან. ბიზანტიის იმპერატორი სულთანის ქვეშევრდომად ითვლებოდა და მისი ნებართვის გარეშე არ შეეძლო ნაბიჯის გადადგმა. 1430 წელს თურქებმა ხელში ჩაიგდეს ბიზანტიის იმპერიის თავისი მნიშვნელობით მეორე ქალაქი – სოლუნი.

ბიზანტიის იმპერატორმა, იოანე პალეოლოგმა, რომელსაც განსხვავებით მამამისისგან, დასავლეთის დახმარების დიდი იმედი ჰქონდა და მართლმადიდებლური ეკლესიის უნიას ლათინთა (რომის) ეკლესიასთან გულუბრყვილოდ უყურებდა მხოლოდ როგორც პოლიტიკურ აქტს, ბიზანტიის სახელმწიფოს გადარჩენის მიზნით გადაწყვიტა მიემართა პაპის – ევგენი IV- ისათვის, პაპმა ისარგებლა ბიზანტიელთა დიდი განსაცდელით და გადაწყვიტა მსოფლიო საეკლესიო კრების იტალიაში – ფერარაში (შემდეგ კრება ფლორენციაში გადაიტანა) – ჩატარება, სადაც თავისი ხარჯით მოიწვია ბიზანტიის იმპერატორი, კონსტანტინეპოლის პატრიარქი– იოსებ II და მთელი ბიზანტიური საეკლესიო იერარქია.

1437 წლის 24 ნოემბერს ბიზანტიელთა დიდი დელეგაცია დაიძრა იტალიისაკენ. დელეგაციის წევრთა შორის იყო ეფესოს ახლადხელდასხმული 46 წლის მიტროპოლიტი– მარკოზ ევგენიკოსი, რომელმაც გიორგი სქოლარიოსის სიტყვით, ეს მაღალი სასულიერო წოდება მიიღო მხოლოდდამხოლოდ იმ მიზნით, რომ მომავალ მსოფლიო კრებაზე თავისი ძლიერი სიტყვით დაეცვა მართლმადიდებლური ეკლესია, რომელსაც ლათინთა მხრიდან გადაბირება ემუქრებოდა.

მართლაც, დღიდან საეკლესიო კრების საზეიმო გახსნისა (კრება გაიხსნა 1438 წლის 9 აპრილს) მარკოზ ეფესელი მიტროპოლიტი იყო ბერძენთა მხრიდან მტკიცე დამცველი მართლმადიდებლი მრწამსისა. თითქმის 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი ლათინთა და ბერძენთა შორის იმ საეკლესიო დოგმატებთან დაკავშირებით, რომელთა შეცვლის გამოც მოხდა განწვალება დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის და კათოლიკური ეკლესია გამოეყო დედაეკლესიას– მართლმადიდებლური ეკლესიას. სწორედ მარკოზ ეფესელი თავის არაერთ ბრწყინვალე გამოსვლაში მტკიცე ლოგიკურ–სილოგისტური დასაბუთების გზით, წმინდა მამათა ნაშრომებსა და მსოფლიო კრებების გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით აჩვენებდა და იცავდა მართლმადიდებლური სარწმუნოებისა და მოძღვრების ჭეშმარიტებას[1], ისე რომ, მისი სიტყვების შემდეგ რომაელთა მხრიდან ბევრს უკვირდა, თუ როგორ იკადრეს ლათინებმა მრწამსის სიმბოლოს შეცვლა და დამატება filioque- სი. მაშინ, რა დაინახა იმპერატორმა, რომ უნიის საქმე შეიძ–

15

ლებოდა ჩაშლილიყო. პაპთან მიაგზავნა უნიის თავგამოდებული მომხრე, მიტროპოლიტი კიევისა – ისიდორე საკითხავად იმისა, თუ რას მიიღებდნენ ბერძნები უნიის აქტის ხელმოწერის შემთხვევაში. ამგვარად, კითხვა პირდაპირ იყო დასმული: პაპს მართლმადიდებლური ეკლესიის ყიდვა შესთავაზეს და ეს გარიგება ძალიან ჰგავდა იმ საზარელ მომენტს, როდესაც ქრისტეს მოწაფე სინედრიონს მიმართავდა: „რაჲ გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი?" ხოლო მათ მიუწონეს მას ოცდაათი ვეცხლი (მ. 26,15).

პაპმა ბერძნებს სამი კარდინალი გაუგზავნა, რომელთა პირით შეუთვალა, რომ, თუ უნია შედგებოდა, მაშინ იგი კისრულობდა 1) ბერძნების კონსტანტინოპოლში დაბრუნების ხარჯების გაღებას; 2) 300 ჯარისკაცის შენახვის ხარჯებს კონსტანტინოპოლის თურქებისაგან დასაცავად; 3) ორი სამხედრო გემის შენახვის ხარჯებს; 4) ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობას იერუსალიმზე კონსტანტინოპოლის გავლით და თურქების დამარცხებას; 5) საჭიროების შემთხვევაში პაპი ჰპირდებოდა ბერძნებს დასახმარებლად დასავლეთის სახელმწიფოთა ჯარების მოხმობას.

ცნობილია, რომ არც ერთი ეს დაპირება არ შესრულებულა.

1439 წლის 3 ივნისს ბერძნები შეიკრიბნენ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. პატრიარქმა უნიაზე თანხმობა განაცხადა და მოუწოდა ბერძენთა იერარქებს მიეღოთ უნია. და მათ, ერთიმეორის მიყოლებით განაცხადეს, რომ იღებდნენ ლათინთა დოგმატს სულიწმიდის გამომავლობის შესახებ „ძისაგანაც" (filioque- ს), როგორც ერთი საწყისიდან. მხოლოდ წმინდა მარკოზ ეფესელმა, ანტონი ირაკლიელმა და კიდევ ორმა ეპისკოპოსმა განაცხადეს უარი თანხმობაზე. მაგრამ ბოლოს, დიდი დაწოლის შემდეგ, ყველა იერარქი დაითანხმეს, გარდა წმინდა მარკოზისა, რომელიც ურყევად იდგა მართლმადიდებლურ მრწამსზე, იმპერატორიც, პატრიარქიცა და ყველა წევრი კრებისა ცდილობდა მის დარწმუნებას, მაგრამ იგი ურყევი იყო თავის სარწმუნოებაში, როცა ბერძენი იერარქები უყვიროდნენ მას- „გვიპოვე გამოსავალი- იკონომიაო", წმ. მარკოზ ეფესელმა მათ მიუგო: „რწმენის საქმეში იკონომია დაუშვებელია", და დასძინა: „განა შეიძლება იყოს რაიმე საშუალო ჭეშმარიტებასა და სიცრუეს შორის, უარყოფასა და მტკიცებას შორის, ნათელსა და ბნელს შორის? და, თუმცა ნათელსა და ბნელს შორის კიდევ შეიძლება იყოს რაღაც საშუალო, ბინდბუნდად წოდებული, მაგრამ ჭეშმარიტებასა და ტყუილს შორის არ შეიძლება იყოს რაიმე საშუალო".

10 ივნისს 1439 წლისა გარდაიცვალა პატრიარქი იოსებ II. წლების განმავლობაში დაუძლურებულმა და ავადმყოფმა, მან ვერ შეძლო დაეცვა მართლმადიდებლური სარწმუნოება. იგი, ისევე როგორც იმპერატორი, სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო უნიის მომხრე იყო, და შეაგონებდა კიდევაც მის მოწინააღმდეგეებს მიმხრობოდნენ მას, მაგრამ შინაგანად კი ებრძოდა თავის თავს, რამაც საბოლოოდ საფლავში ჩაიყვანა ამით თითქოს ღვთის მოწყალებამ იხსნა იგი უნიის აქტის ხელმოწერისაგან.

ერთი თვის შემდეგ, 4 ივლისს 3 წლის განმავლობაში უცხოობაში მყოფმა, მძიმე მდგომარეობაში ჩაყრილმა და თავმობეზრებულმა ბერძნებმა განაცხადეს, რომ ისინი თანახმანი იყვნენ ლათინების მრწამსისა, რასაც სხვა დათმობებიც მოჰყვა დოგმატებისა თუ ეკლესიოლოგიურ საკითხებში. ეს იყო სრული კაპიტულაცია მართლმადიდებლური ეკლე[illegible]რას, ბერძენმა იერარქებმა, იმპერატორის მოთავეობით, ხელი მოაწერეს უნიას – ხელი მოაწერა ყველამ, იმათაც, რომელნიც ეწინააღმდეგებოდნენ უნიას. არ მოაწერა ხელი მხოლოდ ერთმა – ეფესოს მიტროპოლიტმა მარკოზმა. უნიის მომხრეები მოითხოვდნენ, რომ ანათემაზე გადაეცათ იგი. მაგრამ წმ. მარკოზმა პაპის წინაშე ასე იმართლა თავი: „საეკლესიო კრებები, როგორც მეამბოხეებს, სჯიდნენ იმათ, ვინც რომელიმე დოგმატს არღვევდა და ქადაგებდა თავის მოძღვრებას. მაშინ ეკლესია ჯერ განსჯიდა ამ მწვალებლურ მოძღვრებას, შემდეგ კი თვით მწვალებლობის მოთავესა და მის მიმდევრებს. მე კი არ მიქადაგია ჩემი საკუთარი მოძღვრება და ახალი არაფერი შემომიტანია ეკლესიაში. მე ვიცავდი მხოლოდ იმ მოძღვრებას, რომელიც ჩვენმა ეკლესიამ უცვლელად მიიღო მაცხოვრისაგან და დღემდე ურყევად იდგა მასზე. რომაული ეკლესია, სანამ განხეთქილება მოხდებოდა, არანაკლებ აღმოსავლეთის ეკლესიისა, ყოველთვის წმინდად ინახავდა ამ მოძღვრებას. და, თუ მე მივსდევ და არ ვძლევ თავს უფლებას განვუდგე მას, რომელ კრებას შეუძლია განმსაჯოს მე იმ სასჯელით, რომლითაც მწვალებლები განისჯებიან? ამგვარად, ჯერ უნდა განსაჯოთ ის მოძღვრება, რომელსაც მე მივსდევ. ხოლო თუკი თქვენ იგი მართლმორწმუნედ და მართლმადიდებლად მიგაჩნიათ, მაშინ რატომღა ვარ ღირსი სასჯელისა?"

ყველაზე სწორად წმ. მარკოზის პროტესტის მნიშვნელობას პაპმა შეაფასა, როცა მან მარკოზის ხელმოწერა ვერ ნახა უნიის აქტზე. ეს სიტყვები წარმოთქვა: „მაშ ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვერაფრისთვის მიგვიღწევიაო". და მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ამ აქტზე ხელი ჰქონდა მოწერილი იმპერატორს, მთელი აღმოსავლეთის იერარქებსა და კონსტანტინეპოლის მიტროპოლიტებსა და ეპისკოპოსებს, უნია მაინც არ იქნა საბოლოოდ მიღებული მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ, რომელსაც მაშინ წარმოადგენდა სასიკვდილოდ ავადმყოფი, ეული და დატანჯული იერარქი- მარკოზ ეფესელი, უარყოფილი ძლიერთაგან ამა ქვეყნისა, მაგრამ თვით კი ძლიერი იმით, რომ მასში განხორციელებული იყო ღვთაებრივი ჭეშმარიტება.

„ის, რაც ეკლესიას ეხება, არასოდეს არ გადაწყდება კომპრომისების გზით" – წმ. მარკოზ ეფესელის ეს სიტყვები ანდერძივით ჟღერს და მართლმადიდებლური ეკლესიის მესვეურთ და, საერთოდ, მთელს მართლმადიდებელ სამყაროს შეახსენებს იმ უმძიმეს და უმწარეს დღეებს 1440 წლის თებერვლისა, როდესაც სამეფო ქალაქში ფლორენციის კრებიდან დაბრუნებული იმპერატორი ბიზანტიისა და ბერძენი მაღალი საეკლესიო იერარქები, რომელთაც ხელი მოაწერეს ლათინებთან უნიას, სულდამძიმებულნი წარდგნენ თანამემამულეთა წინაშე, რომელნიც სასოებით მოელოდნენ მათ, და აღიარეს თავიანთი შეცოდება. „რატომ მოაწერეთ ხელი- ეკითხებოდნენ მათ- განა გაწამებდნენ ან დილეგში გყრიდნენ?" – არა უპასუხებდნენ ისინი, – მაგრამ, რადგანაც ჩვენმა მარჯვენამ მოაწერა, დაემოგვკვეთონ იგი; რადგან ჩვენმა ენამ აღიარა, დაე, ამოგვგლიჯონ იგი!"

მასალა მოამზადა ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ

ქართულ-ბრიტანული ყოფა

# „მე და ჩემი მეგობარი" თუ „ჩემი მეგობარი და მე"...

*ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის ცნობილია, რომ გასული წლის მიწურულს გამოქვეყნდა პროფესორ ლილი გოძიაშვილისა და ირინე დემეტრაძის ნაშრომის „ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებანი" პირველი წიგნი, რომელიც თავაზიანობის ნორმებს ეძღვნება. ისიც ვიცით, რომ გასაგები მიზეზების გამო წიგნის მოცულობაც და ტირაჟიც შეზღუდული იყო. ამ მიზეზთა გამო გადავწყვიტეთ ამ საკითხზე კვლავ გავესაუბრებოდით ქალბატონ ლილი გოძიაშვილს.*

**– ქალბატონო ლილი, რა საკითხებს მიაპყრობდით მკითხველის ყურადღებას, რას დააკონკრეტებდით, განმარტავდით...**

– სათქმელი ბევრია, ბატონო გოგი, მაგრამ ამჯერად თქვენი და მკითხველის ყურადღება მინდა რამდენიმე კონკრეტულ საკითხს მივაქციო.

მოგეხსენებათ, ჩემი და ირინა დემეტრაძის ზემოხსენებულ პატარა წიგნში ქართული და ბრიტანული ინგლისურის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად მიჩნეულია ის, რომ ინგლისელები ჯერ სხვას ასახელებენ, ხოლო შემდეგ თავის თავს ( მაგ. my friend and I; my brother and I და ა.შ.), ქართველები კი ვამბობთ: „მე და ჩემი მეგობარი", „მე და ჩემი ძმა" და მისთანანი. დიდი მადლიერებით მინდა აღვნიშნო, რომ ქალბატონმა ნინო ჯავახიშვილმა – გამყრელიძემ ჩემი ყურადღება ასეთ ფაქტს მიაქცია: თურმე, როდესაც პატარა ნინო ამბობდა – „მე და ჩემი მეგობარი", მამა, ბატონი ალექსანდრე, უსწორებდა და უხსნიდა, რომ პირველ ადგილზე სხვა უნდა იდგეს, მერე კი შენ, თუ საუბარი პირუტყვზე არ არის. ე.ი. სწორია „მე და ჩემი ეზო", მაგრამ „ჩემი მეგობარი და მე". მეტად საინტერესოა, რომ დღეს ცენტრალურ ინგლისში 16–18 წლის ყმაწვილები ჯიუტად ცდილობენ თავისი თავის წინ წამოწევას და ამბობენ: „I and my friend". თუ როგორ განვითარდება ეს ტენდენცია ინგლისურ ენაში და სადამდე მიგვიყვანს იგი, არც თუ ისე შორეული მომავლის საქმეა, მაგრამ ერთი რამ უდავოა: ამ პრობლემის კვლევა ენათმეცნიერული, ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა.

**– საერთოდ, როგორც ჩანს, ნაცვალსახელებთან დაკავშირებული მართლწერისა თუ სტილისტიკის საკითხები ყველა ენისათვის თავისებურია, ზოგჯერ პრობლემურიც...**

– რადგან სიტყვა ნაცვალსახელებზე ჩამოვარდა, მინდა ერთ ასეთ ფაქტზეც გავამახვილო ყურადღება: ხშირად გარკვეულ მოვლენას მაშინ ვუკვირდებით, როცა ამაზე უცხოელი მიგვითითებს. ამჟამად თბილისში იმყოფება ქალბატონი ლიდია უესტი, რომელიც ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. ქალბატონმა უესტმა გვითხრა, „მომახარეს" ერთხელ ჩემმა სტუდენტებმა, – რომ თურმე ინგლისურში არ შეიძლება ორმა მოსაუბრე პირმა მათთან მდგომი მესამე პირი ნაცვალსახელით მოიხსენიოს". ეს ქართულშიც შეუძლებელია-მეთქი, ვუპასუხე მე და ამ საკითხზე მსჯელობა გავმართეთ. აქ ადგილის სიმცირის გამო მხოლოდ იმას შევნიშნავ, რომ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ წლებში ქართულში საკმაოდ გახშირდა შემთხვევები, როდესაც ორი მოსაუბრე მათთან მდგომ მესამე პირს ნაცვალსახელით იხსენიებს. ეს კი, როგორც ქვევით, ისე ენობრივი ნორმების დარღვევაა. წერით მეტყველებაშიც კი, უმეტესად საგაზეთო მასალაში, გვხვდება შემთხვევები, როდესაც აბზაცი პირის ნაცვალსახელით იწყება და ხშირ შემთხვევაში რთული გასაგებია, თუ რომელ არსებით სახელს ენაცვლება აღნიშნული ნაცვალსახელი. ალბათ უპრიანი იქნება მკითხველს ვურჩიოთ, რომ ნაცვალსახელი მაშინ იხმაროს, როდესაც სავსებით ნათელია, თუ ვის ან რას მიემართება იგი და ამავე დროს ნაცვალსახელის ხმარება არ უნდა არღვევდეს თავაზიანობის ნორმებს.

**– პრესის ენა არა მხოლოდ ამ მხრივ გვიქმნის პრობლემებს... ნაცვალსახელთა გამოყენებას მწერლის ინდივიდუალური სტილის შესწავლისასაც უნდა მიექცეს საგანგებო ყურადღება.**

– თუ ნებას მომცემთ, ძალიან მინდა წლების მანძილზე ჩემს გულში დაბუდებული ერთი გრძნობა გამოვხატო თქვენი გაზეთის ფურცლებზე. რა არაჩვეულებრივი ოსტატობითაა ნახმარი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია"-ში ნაცვალსახელები. ქართული ენის კარგი ცოდნა და მწერლის დიალექტურ თავისებურებათა გათვალისწინება უქმნის მწერალს ამის საფუძველს. მე ამის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ ვსაუბრობდი ალფრთოვანებით, როდესაც ეს რომანი ჟურნალ „ცისკრის" ფურცლებზე იბეჭდებოდა. ბედნიერი ვიქნები, თუ გავიგებ, რომ ამას სხვამაც მიაქცია ყურადღება.

**– ქალბატონო ლილი, ჩვენი გაზეთის მკითხველები მოსწავლეებიც არიან და აბიტურიენტებიც; ამიტომ შეიძლება ისეთ საკითხებზე გავამახვილოთ ყურადღება, რაც მეცნიერული თვალსაზრისით პრობლემას არ ქმნის, მაგრამ ენის შემსწავლელთ სასიკეთოდ წაადგება.**

– ინგლისური ენის შემსწავლელ ყმაწვილთა ყურადღება ქართული ენის ინტერფერენციით (ჩარევით) გამოწვეულ ერთ ტიპიურ შეცდომას მინდა მივაპყრო. როგორც ცნობილია, ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელები **ეს** და **ის** მომდევნო არსებით სახელს რიცხვში არ უთანხმდება, ანუ ქართულად ვამბობთ: **ეს წიგნი**, მაგრამ **ეს წიგნები**, **ის წიგნი**, მაგრამ **ის წიგნები**. ინგლისურში კი ჩვენებითი ნაცვალსახელი this და that, thise და those აუცილებლად უთანხმდება რიცხვში მომდევნო არსებით სახელს. ე.ი. ინგლისურად არ შეიძლება, რომ ვთქვათ ან დავწეროთ this books ან that books უნდა იყოს this book და these books, that book და those books...

**– ქალბატონო ლილი, დღეს შეიძლება ეს ვიკმაროთ. იმედს გამოვთქვამ, რომ ჩვენი საუბრები კვლავაც გაგრძელდება.**

ესაუბრა გ. გოგოლაშვილი

ღვაწლმოსილნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაღესტნელი - ქართული უნივერსიტეტის პროფესორი



1921 წლის 21 ივნისს საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო სხდომაზე ივანე ჯავახიშვილმა სიმონ ჯანაშიას ჩერქეზეთში პირველი სამეცნიერო მივლინების ანგარიშის მოსმენისას ბრძანა: – კავკასიური ენათმეცნიერების ამოცანები არავისთვის ისეთი მნიშვნელოვანი, ახლობელი და მისაწვდომი არ არის, როგორც ქართველი მეცნიერებისათვის".

ოცნებობდა კი დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომ ქართველურ და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევა ჩვენში ისე წავიდოდა წინ, რომ ჩვენი მოძმე ტომების წარმომადგენლები ჩვენთან ჩამოყალიბებულ სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებში გაიწვრთნებოდნენ, აქვე მიიღებდნენ სამეცნიერო ხარისხს, შემდეგომ კი თვითვე გახდებოდნენ ქართული მეცნიერების მსახურნი და სხვათა მასწავლებელნი და მოძღვარნი... ერთი ასეთი სახელოვანი მეცნიერთაგანია პროფ. ალექსანდრე მაგომეტოვი, ჩვენი ბატონი ალექსანდრე, რომელსაც დაბადებიდან 80 წელი უსრულდება 12 ივნისს.

პროფ. ა. მაგომეტოვი დაღესტნის აულ კუბაჩში დაიბადა 1917 წლის 12 ივნისს, ოქრომჭედელ დიდოსტატთა ოჯახში... იმ კუბაჩში, ლეგენდის მიხედვით, ევროპელთა მონათესავე ერთი მუჭა ხალხი რომ ცხოვრობსო... ამანაც შეუწყო ხელი თვალსაზრისს, კუბაჩური ცალკე დამოუკიდებელი ენაა... ბ-ნმა ალექსანდრემაც მშობლიური აულის, თავისი დედა-ენის მიმართ ვალი მეცნიერად მოიხადა – მას მოუძღვნა 1963 წელს დასტამბული ბრწყინვალე მონოგრაფია „კუბაჩური ენა" (სათაურშიც ხომ იმ ტრადიციის კვალია, ზემოთ რომ აღვნიშნეთ), თუმცა ნათლად აჩვენა, რომ იგი ისეთივე დიალექტია დარგუული ენისა, როგორიც, მაგალითად, ახუშური, ურახული თუ წუდახარული – ერთი შეხედვით დიდი სხვაობა რომაა, ის მძლავრად განვითარებული ფონეტიკური პროცესების შედეგიაო.

გზის გამკვლევია ა. მაგომეტოვის „მეკეგური დიალექტი დარგუული ენისა" (თბ., 1982) – გამოკვლევა დარგუული ენის ერთ-ერთ კუნძულოვან დიალექტზე, რომელიც „ლინგვისტურად დიალექტია დარგუულისა, რომელიც შედარებით ახლოა ურახულ დიალექტთან" (გვ. 4).

ასევე საყურადღებოა ა. მაგომეტოვის გამოკვლევანი, ლაკურისა და ლაკურ-დარგუულის ენობრივი ურთიერთობის სხვადასხვა საკითხს რომ ეხება. და მაინც, ცალკე აღსანიშნია ა. მაგომეტოვი, როგორც ლეზგიურ ენათა წამყვანი სპეციალისტი.

1970 წ. დაიბეჭდა ა. მაგომეტოვის „აღულური ენა" – მონოგრაფია დაღესტნის ერთ-ერთ უდამწერლობო ენაზე – შედეგი 1955–1965 წლებში ავტორის მრავალწლიანი საველე მუშაობისა და მეცნიერული კვლევისა.

ხუთი წლით ადრე, 1965 წელს, კი დაისტამბა ა. მაგომეტოვის მონოგრაფია „თაბასარანული ენა". ბევრად ადრე კი ბ-ნ ალექსანდრემ ა. გენკოს არქივში მიაგნო პ. უსლარის მეშვიდე გამოუქვეყნებელ მონოგრაფიას თაბასარანული ენის შესახებ. ეს შრომა დაკარგულად ითვლებოდა... მოსკოვის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა ა. მაგომეტოვს დაავალა პ. უსლარის ამ მონოგრაფიის სასტამბოდ გამზადება... ბ-ნმა ალექსანდრემ წიგნი გამოსაცემად მოამზადა 1954 წლისათვის, მაგრამ მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა. არა და, პ. უსლარის მთელი მასალა ა. მაგომეტოვმა შეამოწმა სოფელ ხანაგში, სადაც პ. უსლარი იკვლევდა თაბასარანულს. ეს მონოგრაფია გამოიცა მოგვიანებით (1979 წ.) თბილისში ა. მაგომეტოვის კომენტარებითა და შესავალი წერილით (რედ. არნ. ჩიქობავა).

პ. უსლარის ამ მონოგრაფიის გამოცემის შემდეგ კი უფრო ცხადი გახდა, რამდენად ტევადია ა. მაგომეტოვის „თაბასარანული ენა", რომელიც შეიცავს თაბასარანული ენის ორივე დიალექტის მდიდარ ენობრივ მასალას, მის მეცნიერულ ანალიზს.

ა. მაგომეტოვს მონოგრაფიისათვის „თაბასარანული ენა" 1965 წ. მიენიჭა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი... ამის შემდეგ მას იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილებაზე ლექციათა წასაკითხად და 1968 წლიდან იგი კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორია... ა. მაგომეტოვი კითხულობს ლექციებს არა მარტო რუსული განყოფილების სტუდენტთათვის, არამედ ქართულ სექტორზეც – ქართულად.

ესაა პირველი შემთხვევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სინამდვილეში, როცა დაღესტნელი კაცი ხდება ქართული უნივერსიტეტის პროფესორი... სწორედ მისი მეცნიერული და პედაგოგიური ღვაწლის აღიარება გახლდათ მისთვის 1984 წ. საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მინიჭება. 1981 წ. კი ანალოგიური წოდება მას მიანიჭა მისმა სამშობლომაც – დაღესტანმა (სხვათა შორის ბ-ნ ალექსანდრეს და – მანაბა მაგომეტოვა – ჩვენში მოღვაწე ხელოვანია, საქართველოს სახალხო მხატვარი).

ცალკე აღსანიშნავი ა. მაგომეტოვის გამოკვლევა „პ. უსლარი – დაღესტნურ ენათა მკვლევარი" (მახაჩყალა, 1979), რომელშიც შესულია პ. უსლარის რამდენიმე პირადი ბარათიც. აქ საყურადღებოა პ. უსლარის წერილი ვ. ფრანკფურტისადმი (1874 წ.), სადაც წერია: „კავკასია წარმოადგენს დამოუკიდებელ ინდივიდუმს ენათმეცნიერულ სამყაროში". ამ პასაჟის რეპლიკაა ა. მაგომეტოვის გამოკვლევაში „პ. უსლარი- კავკასიოლოგი" (პ. უსლარის „თაბასარანულ ენას" რომ ახლავს): „სამართლიანი თეზისი (თუმცა არა სავსებით კონკრეტული) იბერიულ-კავკასიურ ენათა მიმართებაში".

სწორედ იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტური ერთობის ძიებასთანაა დაკავშირებული სახელოვანი მკვლევრის მეცნიერული წარმატებანი.

ა. მაგომეტოვის ეს წარმატებანი კი არნ. ჩიქობავას სახელთანაა დაკავშირებული.

ბ-ნ ალექსანდრე პროფესიით ინჟინერია– 1940 წ. დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი; 1940–1945 წლებში მუშაობდა ინჟინერ-კონსტრუქტორად ვორონეჟისა და მოსკოვის საავიაციო ქარხნებში. ა. მაგომეტოვი 1945 წ. ბრუნდება თბილისში, ხვდება არნ. ჩიქობავას, რამაც გადაწყვიტა კიდეც მისი ბედი... 1945–1948 წლებში იგი უკვე ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტია, სადაც 1948 წელს იცავს მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში განვლო მან გზა ასპირანტიდან წამყვან მეცნიერ მუშაკამდე.

ბ-ნი ალექსანდრე მუდამ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ცხოვრების შუაგულში იდგა. იგი გახლდათ იბერიულ-კავკასიური ენების სისტემისა და ისტორიისადმი მიძღვნილი რეგიონალური სამეცნიერო სესიების გამმართავი მუდმივი საორგანიზაციო კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა საერთაშორისო ჟურნალ „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის" პასუხისმგებელი მდივანი და შემდეგ რედაქტორის მოადგილე.

პროფ. ა. მაგომეტოვი ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების არაერთი კოლოკვიუმის მონაწილეა – კითხულობდა მოხსენებებს პარიზში, ლონდონში, მარბურგში, ლაიდენში... მიწვეული იყო ბონისა და ბოხუმის უნივერსიტეტებში ლექციათა წასაკითხად...

ბ-ნ ალექსანდრე არაერთი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის ოპონენტია, ხელმძღვანელობს ასპირანტებსა და მაძიებლებს მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში... იგი დღესაც ჩვეული ენერგიით განაგრძობს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას... მას არაერთი ჩანაფიქრი აქვს, რომელთა შესრულებაში, ვინც ბ-ნ ალექსანდრეს იცნობს, არავის შეეპარება ეჭვი.

დიდის მადლიან ქართულ მიწაზე ერთი დაღესტნელი კაცი, რომელსაც მთელი თავისი შეგნებული ნაწილი სიცოცხლისა ქართული მეცნიერების სამსახურში დაუხარჯავს, თუმცა არც თავისი მშობლიური მიწა ავიწყდება... იგი ხომ დაღესტანსა და საქართველოს შორის გადებული ცოცხალი და ლამაზი ხიდია.

იმედია, მის კვალზე ივლიან მომავალში მისი მოწაფეებიც და მოწაფეთა მოწაფენიც.

მანარი ბურჭულაძე

## ინფორმაცია

# ტრადიცია გრძელდება

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტს შორის მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ურთიერთობა გახდა საფუძველი იმისა, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ყოფილი დირექტორის, აწ განსვენებული ბესარიონ ჯორბენაძისა და პედინსტიტუტის კათედრის გამგის პროფესორ ივანე ქეშიკაშვილის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა თელავში რეგულარული სამეცნიერო სესიის – „კლასიკოსები" – გამართვას. ამ სესიებზე ქართველ კლასიკოსთა მოღვაწეობის, მათი მემკვიდრეობის განხილვა ხდება მრავალმხრივ. სამეცნიერო სესიები მიეძღვნა იაკობ გოგებაშვილს (1991 წ.), გალაკტიონ ტაბიძეს (1992 წ.), ვაჟა-ფშაველას (უნდა გამართულიყო 1993 წელს, მაგრამ გადაიდო ბ. ჯორბენაძის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. გაიმართა 1994 წელს), ილია ჭავჭავაძეს (1995 წ.).

ახლახან გაიმართა მეხუთე სესია სერიიდან „კლასიკოსები" (16–17 მაისი), რომელიც მიეძღვნა აკაკი წერეთელს. სესია შესავალი სიტყვით გახსნა პროფ. რ. ჭილაძემ. მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა ზ. ჭუმბურიძემ, თ. უთურგაიძემ, ალ. ჭინჭარაულმა, გ. ბურჭულაძემ, გ. გაბუნიშვილმა, ი. ქეშიკაშვილმა, ლ. შალვაშვილმა, რ. ჭიკაიძემ, გ. ჯავახიშვილმა, ა. სპარსაშვილმა, ვ. ელანიძემ, ნ. ქართველმა; დოცენტებმა ნ. გოგოჭურმა, თ. ვახტანგიშვილმა, რ. მაისურაძემ, ე. მამუკელაშვილმა, ნ. რჩეულიშვილმა, ნ. გელდიაშვილმა, ვ. ჯანგულაშვილმა; პედაგოგმა ნ. ჯანგულაშვილმა.

გადაწყდა: მომავალი სესია მიეძღვნება რაფიელ ერისთავის მოღვაწეობასა და შემოქმედებას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი შანიძეს მიეძღვნა

გაიმართა (1997 წლის 28–30 მაისს) ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა **აკაკი შანიძის** დაბადების 110–ე წლისთავს.

სესიაზე მუშაობდა შემდეგი სექციები: ენათმეცნიერებისა; ქართული ლიტერატურის, კლასიკური ფილოლოგიისა და ფოლკლორისტიკის; ქართულ–საზღვარგარეთულ ურთიერთობათა და თარგმანის; რუსული ენისა და ლიტერატურის.

სასიამოვნოა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ აღდგა ტრადიცია მუშაობის გეგმისა და სესიის მასალების (ადრე – მოხსენებათა თეზისების) და გამოცემისა.

# მეგრულ-ქართული ლექსიკონი

სულხან–საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და მკვლევარის **პეტრე ჭარაიას** (1861–1919 წ.) „მეგრულ–ქართული ლექსიკონი". ხელნაწერი აღნიშნული წიგნისა თავის დროზე ავტორმა შესწირა ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. წიგნში ქვეყნდება აგრეთვე ა. ჭარაიას ორი საინტერესო გამოკვლევა.

კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა **დარეჯან თვალთვაძემ**. წიგნის რედაქტორია **ზურაბ სარჯველაძე**; გამომცემლები – შაკო ჯიქია და გოჩა სოსელია.

## მცირე რეცენზია

# ჯემალ ჯინჯიხაძე. ფიქრები ენათმეცნიერებაზე. თბილისი - 1997

ავტორი წარმოდგენილი სარეცენზიო ნაშრომისა გახლავთ ლინგვისტური მეცნიერების კანდიდატი და პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი მათემატიკის სწავლების მეთოდიკაში. ნაშრომის ავტორმა ამ ორი სხვადასხვა მეცნიერების თვალთახედვით სცადა თეორიული ენათმეცნიერების საკმაოდ რთული და ამავე დროს აქტუალური პრობლემების ორიგინალური გაშუქება. ამ მცირე მოცულობის ნაშრომში (გვ. 1–19) მოცემულია მოკრძალებული კრიტიკული მიდგომა ქართული საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ენობრივი ერთეულებისა, დეფინიციებისა, როგორიცაა სიტყვა, ლექსიკა, მარცვალი, ომონიმები, ლექსიკონი...

ავტორი თითოეული აქ წარმოდგენილი ენობრივი ერთეულების შესახებ არსებულ განმარტებებს კრიტიკულად უდგება და შეაქვს საკუთარი კორექტივები. უნდა ითქვას, რომ ავტორის მსჯელობა დამაფიქრებელია და რიგ შემთხვევაში ანგარიშგასაწევიც.

ბოლოს ავტორი მკითხველს სთავაზობს საკუთარ „კონცეფციას" ენობრივ ერთეულთა ლინგვისტური განმარტებების შესახებ. აქ ავტორი შედარებით ვრცლად ეხება ბგერის ცნების ანალიზს, რაც ჩვენი აზრით, გარკვეულ ინტერესს იწვევს. ამასთან დაკავშირებით შემოაქვს ახალი ტერმინი **კორტეჟი**; მისი განმარტებით „ბგერათა დალაგებულ უწყვეტ ჯგუფს ანუ სიმრავლეს ბგერათა **კორტეჟი** ეწოდება.

ამ ცნებაზე დამყარებით ავტორი სიტყვას ასე განმარტავს: „სიტყვა ეწოდება ისეთ კორტეჟს, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ან დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელია და მნიშვნელობას იძენს წინადადებაში" (გვ. 11).

ამასთან დაკავშირებით გვინდა ავტორს შევახსენოთ ცნობილ ენათმეცნიერთა გამონათქვამები სიტყვის ცნების შესახებ: „ცნება სიტყვას თვლიან მარტივ ცნებად, სინამდვილეში კი ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ორაზროვანი ცნება, რაც კი გვხვდება ენათმეცნიერებაში... აუცილებელია გავთავისუფლდეთ ამ გაურკვეველი სიტყვა ცნებისაგან (ბალი). „ცნება სიტყვა საერთოდ არ არსებობს" (შჩერბა). „ძალიან ძნელია სიტყვის განსაზღვრება" (რეფორმატსკი).

როგორც ცნობილია, მარცვლის ზოგადი დეფინიციაც გარკვეულ სირთულესთან არის დაკავშირებული. ავტორი გრძნობს ამას და გვთავაზობს თავის ორიგინალურ დაკვირვებას და დეფინიციას მის შესახებ...

ასევე საინტერესოა ავტორის მსჯელობა ომონიმების, ანბანის, ლექსიკონის, და წინადადების ცნებათა შესახებ.

ავტორი, პროფ. ჯ. ჯინჯიხაძე მკითხველს ჰპირდება ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას, რაც მისასალმებელია. ამის გამო ჩვენ ამჯერად ნაშრომის კრიტიკული ანალიზისაგან თავს ვიკავებთ.

**ქოტე ჭრელაშვილი**

საპარლამენტო ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანბანი



## ორფევსი და ევრიდიკე

(მეშვიდე ნაწილი)

*სულეთის მბრძანებელმა მისვლის მიზეზი ჰკითხა შესანიშნავ მომღერალს და თხოვნის შესრულება აღუთქვა. ორფევსმა ჰადესს სანუკვარი ოცნება გაანდო, უთხრა, რომ ევრიდიკეს დედამიწაზე დაბრუნება სურდა.*

1. ორფევსის ყველაზე დიდი სურვილი, მისთვის ყველაზე მეტად სანატრელი, სანუკვარი იყო ევრიდიკეს დედამიწაზე დაბრუნება.

შენ თუ გაქვს სანუკვარი ოცნება და რა გსურს ყველაზე მეტად?

2. ჰადესმა ორფევსს აღუთქვა

ანუ

ჰადესმა ორფევსს | ს | ი | ტ | | | | მისცა.

# ხვითო

### შემეცნებითი თამაში ქართული ენის სახალისო ფონეტიკის, გრამატიკის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ელემენტებით.

ჰადესმა ორფევსს | პ | ი | რ | | | ა | მისცა.

კიდევ როგორ შეგიძლია იმავე აზრის გადმოცემა?

3. „დედამიწა" ორი სხვადასხვა სიტყვის შეერთებითაა მიღებული დედა+მიწა. გაიხსენე სხვა სიტყვები, რომელთა ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი „დედა" იქნება და ასე ჩაწერე:

დედა+ კაცი=დედაკაცი

# მოვუსმინოთ პატარებს

**3 წლის ნოდარს მამის სამუშაო ოთახში შესვლა აუკრძალეს და უთხრეს, - მუშაობსო. ნოდარმა ვეღარ მოითმინა და მამასთან ოთახში მაინც შევარდა. აღმოჩნდა, რომ მამა ტახტზე იწვა და ისვენებდა. გაბრაზებული და დოინჯშემოყრილი ნოდარი მამას თავზე დაადგა და მკაცრად უსაყვედურა:**

**– ეს არის, მიშა, შენი მუშაო?!**

ბაბუის მოსახელე პატარა ნოდარს ბაბუს მეგობარი ყოველი შეხვედრის დროს ეკითხებოდა:

– გამარკვიე, შენ ნოდარი გქვია თუ ბაბალიკა?

ნოდარიც აუღელვებლად უპასუხებდა:

– მე ნოდარი მქვია, მაგრამ ბაბუ ბაბალიკას მეძახის.

ერთხელ თავგაბეზრებულმა ნოდარმა სიტყვის დამთავრება არ აცალა ბაბუას მეგობარს:

– გთხოვთ, ამიერიდან ბატონი ნოდარი დამიძახოთ!

**გიორგის დედას მაია ჰქვია. პატარა გიორგის „დედაენა" უნახეს და შინ უფროსებს მოსთხოვა – „მაიაენა" მიყიდეთო**

წლის ეკო, რომელსაც ფილმი „ცისფერი მთები" ძალიან უყვარდა, გასასინჯად ექიმს მოუყვანეს. ექიმმა ბავშვს სთხოვა: – ორივე ხელი გაშალეო. ეკომ ექიმის თხოვნა შეასრულა, თან ერთი ხელი ჭერისაკენ გაიშვირა და იკითხა:

– ეს ბზარი აქ დიდი ხანია რაც არის?

**ნანოს დაბადების დღეზე ბაბუ შლიდა სუფრას.**

**– ბაბუ, – ჰკითხა ნანომ,– ჩემს ქორწილში ვინ გაშლის ამ მაგიდას, შენ რომ აღარ იქნები ცოცხალი?**

**– ვინ გაშლის და შენი ქმარი, – უპასუხა ბაბუმ.**

**– ვის რად უნდა მაგის გაშლილი, წავიდეს, დაიკარგოს!**

ნანოს გერმანიიდან ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი თოჯინა ჩამოუტანეს. ნანოს ძალიან გაეხარდა, ჩაიხუტა და ასე ეფერებოდა:- მოხვედი, მართლმადიდებლურ ოჯახში?

**ნანო ცუდად მოიქცა, როცა აუხსნეს, ძალიან განიცადა. დედა ამშვიდებდა და თან უხსნიდა, რა ჩაიდინა. ნანომ კი დედას შესტირა:**

**– არ მომეკარო, მე ეშმაკი მყავს და გადაგედება.**

5 წლის ლუკას დედამ სთხოვა:

– ამ წიგნს ეზოში ნუ წაიღებ, გაფუჭდება.

– თვითონ მომყვება და რა ვქნა?– უპასუხა ლუკამ და წიგნი მაინც წაიღო.

**პატარა ლიზიკო სათამაშოს ართმევდა ამხანაგს. დედამ დატუქსა, წართმევა არ შეიძლებაო.**

**– მაშინ გამოვართმევ! –უპასუხა ლიზიკომ.**

პატარა გუკის სთხოვდნენ ქართული სიტყვები რუსულად ეთარგმნა. ხანგრძლივი შეკითხვის შემდეგ ჰკითხეს:

– გუკი, სიბნელე როგორ იქნება რუსულად?

– Какой ужас.- უპასუხა გუკიმ.

# აბიტურიენტთა საყურადღებოდ

„აბიტურიენტის ბიბლიოთეკით“ გამოიცა **ლეილა გეგუჩაძის** წიგნი **„ქართული ენა**, ნაწილი პირველი“. წიგნის ანოტაციაში ვკითხულობთ: „უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელები, ვისაც მისაღები გამოცდების პროგრამის მიხედვით ქართული ენის ჩაბარება უწევთ, სირთულეს აწყდებიან: პროგრამაში შეტანილი საკითხები სხვადასხვა სახელმძღვანელოშია გაბნეული და მოძიება ჭირს. არც სახელმძღვანელოების შოვნაა იოლი.

ბ. ჯორბენაძის საზოგადოების თხოვნით დოცქ. გეგუჩაძემ პროგრამის შესაბამისად შეადგინა აბიტურიენტთათვის დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის პირველ ნაწილსაც ვთავაზობთ მკითხველს. იგი თავის დროზე გამოქვეყნდა გაზეთში „ბურჯი ეროვნებისა“ („№2–12, 1996).

დავუმატებთ: წიგნის პარაგრაფების დასათაურება მისდევს მისაღები გამოცდების პროგრამაში საკითხთა დასახელებას.

მოკლედ: ეს უაღრესად საჭირო წიგნია აბიტურიენტთათვის და არა მხოლოდ მათთვის.

წიგნის შეძენა შეგიძლიათ თსუ I კორპუსში და ენათმეცნიერების ინსტიტუტში (პ. ინგოროყვას 8).

არ დარჩეთ ამ წიგნის გარეშე.




# ქართული ენის სახელმძღვანელო მეათეკლასელთათვის




გამოვიდა პროფესორების **ზურაბ ჭუმბურიძისა** და **როზა გაბუნიას** მიერ შედგენილი – მეათე კლასის სახელმძღვანელო "ქართული ენა".

დიდი ხანია ამ წიგნს ელოდა ჩვენი სკოლა. სწორედ სახელმძღვანელოს უქონლობა იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ მეათე-მეთერთმეტე კლასებში საგანი ქართული ენა ფაქტობრივად არ ისწავლებოდა. მომავალ მეათეკლასელებსა და მათ მოსწავლეებს ეს პრობლემა მოეხსნათ.

წიგნის მაღალმეცნიერული დონე, განხილულ საკითხთა პრობლემებისა და სადა, ნათელი სტილი მსჯელობისა იმედს გვაძლევს, ეს წიგნი სასარგებლო იქნება იმათთვისაც, ვინც ზოგადად ენის საკითხებითა და კონკრეტულად ქართული ენითაა დაინტერესებული.




თუ ხართ ქართული ენის გულშემატკივარი,
თუ გიყვართ ქართული ლიტერატურა,
თუ გაინტერესებთ ჩვენი სკოლის ბედი,
გამოიწერეთ გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა“

ჩვენი ინდექსია 76016


## წერილი რედაქციას

# აქ კლასიკოსი ცხოვრობდა

ყოველმა ქართველმა იცის, ვინ არის ნიკოლოზ ბარათაშვილი, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ მის სახლ-მუზეუმს ძველ თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე, რამდენიმე ოთახი აქვს დათმობილი. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ არც ხელისუფლებას, არც პრესას და არც ტელევიზიას არ გახსენებია პოეტის დაბადების 180 წლისთავი; არადა მის სახელს განსაკუთრებული სიფაქიზითა და სიყვარულით რომ სჭირდება მოვლა-პატრონობა, ეს ყველასათვის ცხადია. მაშ, რა მოხდა, რა დაგვემართა ქართველებს? რატომ არ გვავიწყდება უცხოელი კინოვარსკვლავებისა თუ სხვა ცნობილ მოღვაწეთა დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები შევახსენოთ ქართველ ხალხს, არამარტო შევახსენოთ, გადაცემებიც მოვუძღვნათ და პრესის ფურცლებიც დავუთმოთ. კი, ბატონო, ესეც აუცილებელია, მაგრამ ხომ გვგიგიათ, ვჟურ თავო და თავოო...

სახლ-მუზეუმის ნესტიანი, დახეთქილი კედლები, დიდი წვალებით შეგროვილი უმნიშვნელო რაოდენობის ექსპონატები... აი, რა „ამშვენებს“ დიდი ტატოს მუზეუმს, არადა რამდენი ფული იხარჯება არაფრისმთქმელი პრეზენტაციებისა და შოუების მოწყობისათვის.

საქართველოს ისტორია ჩვენი საგანძურია, მასზე ზრუნვა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა. მაშ, რატომ დავკარგეთ მოვალეობის ეს გრძნობა? იქნებ, ახლა მაინც გამოვეხიზლდეთ, შევხვდეთ ჩვენს შეცდომას და მხარში ამოვუდგეთ მუზეუმის გაწამებულ თანამშრომლებს!

თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები
თამარ ბარათელი
ნათია არაბიძე
თეა მინდიაშვილი